ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.
№53 (1491) 24–28 ოქტომბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «მე შეიძლება სულელი პოეტი ვარ!..» – ამბობს რეზო ამაშუკელი

ეს ფრაზაც და ეს კარიკატურაც პოეტ რეზო ამაშუკელისა გაზეთ „შანსიდან“ გახდა ჩემთვის ცნობილი.

„შანსელები“ თავიანთ სარედაქციო წერილში ბატონ რეზოს პირდაპირ შავ დღეში აგდებენ, უფრო სწორად, იხსენებენ ამაშუკელისავე სიტყვებს, გენერალური პროკურორის წინაშე რომ ომახიანად უთქვამს: „ბევრი უსაქციელობა ჩამიდენია“-ო. უხსენებენ შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს კომპარტიიდან გარიცხვას, არა დისიდენტური მოღვაწეობის, არამედ მორიგი უსაქციელობის გამო – *„ღრეობას გადააყოლა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე“*-ო. „არავინ აპატიებდა ბეთანიაში ყელგამოღადრული ბავშვის ყურებასო“ და ა.შ.

ამაშუკელის უსაქციელობათა ნუსხის გაგრძელება, ცხადია, გრძლად შეიძლებოდა, მარტო მისი მწერალთა კავშირის მდივნობიდან გაბურძაყება რად ღირს...

შევარდნაძისაგან დაჩაგრულ ამაშუკელს პატიაშვილმა უპატრონა, მწერალთა კავშირის მდივნად აკურთხებინა, გალაღებულმა პოეტმა კი ისე აიშვა, მისივე მფარველი პატიაშვილი იძულებული გახდა ეს სამარცხვინო მდივანი ისევ გაეთავისუფლებინა...

ახლა ბატონი რევაზი კვლავ პირველი კაცის ფავორიტია, ამაში ცუდი არაფერი გახლავთ, რომ არა მისი ზღვარგადასული სითამამით გაკეთებული განცხადებები.

გენერალური პროკურორი, სიმკაცრე რომ ევალება, როგორც სხდომაზე მისი გამოსვლიდან ჩანს, გაგებისა და ჰუმანიზმისაკენ მოუწოდებს პუბლიკას. სულიერების მსახური ამაშუკელი კი ლამის „ინტერნაციონალივით“ „მღერის“ ყოველ თათბირზე – *„თეთრია თუ შავია, ყველა დამნაშავეა, ერია თუ ბერია, ყველა დასაჭერია“*-ო და, სხვათაშორის, ამ დასაჭერებში პირველ რიგში იმათკენ იშვერს ხელს, ვისაც ადრე დითირამბებს უძღვნიდა, ვითარცა უახლოეს მეგობრებს.

თუმცა, ჩვენც „შანსელებივით“ გავუტიეთ, ამაშუკელის ბიოგრაფიის ჩხრეკა რა ჩვენი საქმეა, რომელი ისტორიული ფიგურა იგი ჰყავს დედასამშობლოს, რომ მისი ავანჩავანი საქვეყნოდ იქნას აღნუსხული. მერე რა, რომ კულტურის მინისტრის მოადგილეა. ამ პარადოქსების ქვეყანაში რაღა კულტურას უნდა ჰყავდეს წესიერი ხელმძღვანელი მუშაკი?

ჩვენ სულ სხვა რამემ აგვაღებინა ხელში კალამი.

ამაშუკელი ამაშუკელისაგანვე გვინდა დავიცვათ.

*„მე შეიძლება სულელი პოეტი ვარ“*-ო, რომ ამბობს, ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. პიროვნულად იგი შეიძლება დახასიათდეს, როგორც *ულირსებო ღირსების ორდენოსანი პერსონა*, მაგრამ პოეტად სულელი ნამდვილად არ არის, ხოლო იმ ფაქტის გამო, რომ თავი სულელი ჰგონია, უნდა ვივარაუდოთ, მძიმე შემთხვევასთან გვაქვს საქმე...

სხვა ვერსიით პოეტის თავმდაბლობაზე შეიძლებოდა გვემსჯელა, მაგრამ თავმდაბლობა ისე შორს დგას ამაშუკელისაგან, როგორც თავად ღირსებისორდენოსანი ამაშუკელი ნამდვილი ღირსებისგან...

ნოდარ ბრიგალაშვილი



## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

მეორე გვერდი

## ქართველი მწერლები და მიტინგის დარბევა

მეოთხე გვერდი

## გენერლებო: სწორდი, სმენა, გადა-ა-ა-ადექ!

მეშვიდე გვერდი

## საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით აფხაზი სეპარატისტები ე.წ. «მათრახისა და ტკბილეულის» პოლიტიკას ატარებენ

საააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის გამგეობიდან აცნობეს, რომ 23 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, აფხაზური მხარე გალის რაიონში ატარებს ე.წ. „მათრახისა და ტკბილეულის“ პოლიტიკას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ყველანაირად ახალისებენ იმ ქართველებს, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და კენჭსაც იყრიან აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში. ხოლო ის ქართველები, რომლებიც უარს აცხადებენ არჩევნებში მონაწილეობაზე, სასტიკად ისჯებიან. კერძოდ, ე.წ. აფხაზური პოლიცია იარაღის ძებნის მოტივით ჩხრეკს მათ საცხოვრებელ სახლებს, ძარცვავს და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს მათ ოჯახებს.

რუსეთის სამშვიდობო ძალები არაფერს აკეთებენ ქართული მოსახლეობის დასაცავად, იმ მოტივით, რომ აფხაზურ მილიციას სრული უფლება აქვს ჩაატაროს ჩხრეკა გალის რაიონის მცხოვრებთა სახლებში, ხოლო რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ ჩაერევიან აფხაზეთის საშინაო საქმეებში.

 იბერია

## გალის რაიონში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით კვლავ დაძაბული სიტუაციაა

სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, გალის რაიონში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით კვლავ დაძაბული სიტუაციაა – აფხაზი სეპარატისტები ვერ პოულობენ დეპუტატობის კანდიდატებს, რადგანაც ქართული მოსახლეობისაგან სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებიან. სეპარატისტები იმედს არ კარგავენ და მიმართავენ სხვადასხვა ფორმებს. სამი წლის განმავლობაში მათ მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება არ გაუწევიათ.

როგორც ცნობილია, აფხაზეთი თითოეულ მოსახლეს 1 კგ შაქარს უცვლიდნენ 1 კგ თხილში. ამჟამად, მათ დახმარების ფორმა ბრინჯით შეცვალეს.

იბერია

## აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთში მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებით არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ

სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, აფხაზი სეპარატისტები აფხაზეთში მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებით არასწორ ინფორმაციებს ავრცელებენ. კერძოდ, მათი განცხადებით, მოსახლეობის რაოდენობა 218.000-ზე მეტია. ამდენივეა ამომრჩეველიც. ზუსტი მონაცემებით კი, აფხაზეთში მოსახლეობის რაოდენობა 150.000-ს აღწევს.

იბერია

# ვინ იყო ვინ?

### მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

# დოკუმენტური ისტორია ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვისა

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „საქართველო“ №51,52

**ქვეყნდება პირველად**

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა 1977 წლის 1 აპრილი

### თავმჯდომარეობს - გრიგოლ აბაშიძე

ელ. მაღრაძე. – ამხანაგებმა თქვენ უკვე გარკვევით, ჩემთვისაც ბატონი კონსტანტინე იყო ხატი, მამულიშვილობის, ვაჟკაცობის, დიდი მწერლობის და ყველაფრის იდეალი, ყველაფერი იმის, რომელმაც (მე ასე მიმაჩნია), ქართველ ერს შეუქმნა სიტყვაკაზმული მწერლობა, შეაყვარა სამშობლო, თავისი ხალხი, – ვისაც მისი წიგნები წაკითხული აქვს და სხვა ერის შვილებსაც კი შეაყვარა საქართველო. ჩემთვის დღევანდელი გამოსვლაც, ეს ლაპარაკიც ძალიან ძნელია, ეს კაცი ჩვენს ხელში გაიზარდა, ძალიან ძნელია.

მე მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდია არის მსხვერპლი იმ განუკითხაობისა, რაც 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენს რესპუბლიკაში, რასაც 20 წლის განმავლობაში ვერ ვებრძოდით და როცა მან პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ ჩვენ პასუხისმგებლები ვართ და დამნაშავე ვართ, რომ თავის დროზე არ მივუთითეთ და არ ვუთხარით, რომ ეს მცდარი გზაა. ჩვენს ორგანიზაციას რომ უფრო მეტი ფხა, უფრო მეტი ვაჟკაცობა, შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა, მიეთითებინა მისთვის (თითქმის ყველა შვილეულ ასაკად გვეკუთვნის), ჩვენ შეგვეძლო მისი მობრუნება, აღზრდა, გვეთქვა, რომ ეს არის მცდარი გზა, მაგრამ ჩვენ მწერალთა კავშირში იმ 20 წლის მანძილზე იყო დანერგილი ის, რომ ექსცესებითა და ჩხუბით ვინც გადიოდა, ჩვენს ამას ვუწყობდით ხელს, ვაქეზებდით ამანაც თავისი დაღი დაასვა. ჩვენ რომ თავის დროზე აგველაგმა ის, ვინც ექსცესებით იკაფავდა გზას, საქმე აქამდე არ მივიდოდა.

ახლა ის დაპირისპირებული აღმოჩნდა ჩვენთან, ყველა ჩვენგანთან და წესდებასთან. მისი საქციელი და მოქმედება დასაგმობია და ამდენად ის მწერალთა კავშირის რიგებში რომ დარჩეს, ძნელია.

თავმჯდომარე – ხუტა!

ხ.ბერულავა – მწერალთა კავშირი – ეს არის თანამოაზრეთა კავშირი, როგორც ამას ჩვენი წესდებაც ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, ეს მოქმედებაც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლების სახელთან.

მე მინდა დავეთანხმო ზოგიერთი ამხანაგის წინადადებას, რადგან ზვიად გამსახურდია აცხადებს, რომ ეს მას არ ეკუთვნის, რომ ეს მისი ხელმძღვანელობით, თუ მონაწილეობით არ გაკეთებულა (გვითხრას ვისია) და თუკი ეს ასეა, ერთხელ კიდევ შევეცადოთ, იქნებ აღმოვაჩინოთ...

თავმჯდომარე – ამაზე რომ არ იყოს ლაპარაკი, მოგახსენებთ ის, რაც პრესაშია დაბეჭდილი და რაც აქ მოტანილია, ეს დადასტურებულია და არავის არ უნდოდა ამის გამოგონება და შეთხზვა. ეს არის დადასტურებული და დამტკიცებული და იმიტომ არის გამოტანილი. ვიდრე ბოლომდე არ იყო დამტკიცებული, არ გამოუტანიათ. ზვიადს შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი. ის, რაც არის – დამტკიცებულია და ამას ნუ გავხდით სადავოდ. ვიმსჯელოთ იმაზე, რაც ფაქტიური მასალაა ხომ არ შეიძლება გაზეთი „კომუნისტი“, „თბილისი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“ ტყუილს სწერდეს?!

ხ.ბერულავა – ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ არავის არ უნდა მივცეთ უფლება სული აუმღვრიოს ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ჩვენ, შემოქმედებითმა მუშაკებმა უნდა აღვზარდოთ კომუნისტურ იდეალებზე და კომუნისტური სულისკვეთებით და ამ შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია ძალიან მაღალ და წმინდა საქმეებზე, აქ დათმობა არ შეიძლება.

მე ვუერთდები ამხანაგების აზრს – საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში არ შეიძლება, რომ ასეთი კაცი იყოს.

თავმჯდომარე – კიდევ?

ვ.ჭელიძე – ჩემთვის ცოტა ძნელია ლაპარაკი იმიტომ, რომ თვითონ ზვიადთან არ მქონდა კეთილი ურთიერთობა, მაგრამ უნდა გამოვთქვა აზრი. იმის შემდეგ, რა საბუთებსაც ჩვენ გავეცანით – იმ პროკლამაციას, ფაშიზმის რეაბილიტაციის ცდას, – წესდებაც არ გვაძლევს უფლებას, რომ ჩვენს რიგებში იყოს და მეც ვუერთდები საერთო აზრს – ასეთი ადამიანი არ უნდა იყოს მწერალთა კავშირის რიგებში.

თავმჯდომარე – სერგი!

ს.ჭილაია – მე სხვა მასალას არ ვიცნობ, რაც გაზეთშია, იმას ვიცნობ და მე მიმაჩნია – საბჭოთა პრესაში მოყვანილი ფაქტები და მასალა ისეთ შეუვალ სურათს ქმნის, რომ აქ ორი აზრი არსებობდეს, შეუძლებელია.

ჩემთვის ყველაზე უფრო სამძიმოა ეს იმიტომ, რომ თვითონ კ.გამსახურდიას აქვს – „თუ არა საბჭოთა ხელისუფლება, ჩემთვის დიდ მწერლობასთან წილნაყრობა არ შეიძლებოდა“. ესა აქვს ნათქვამი მას და ასე არის ნამდვილად – დიდ ოსტატად ის ჩვენმა სინამდვილემ აქცია და ამიტომაც ჩვენი სინამდვილის გულწრფელი მომღერალი იყო.

მით უფრო სამწუხაროა ამ დიდი ქართველი კაცის, ამ დიდი ოსტატის, ამ დიდ ლიტერატურულ ბრძოლებში ჩვენი მეგობრის შვილის საკითხს რომ ვიხილავთ – იყოს თუ არა ის ჩვენს რიგებში. დიდად გული მტკივა, მიმძიმს ამის წარმოდგენა იმიტომ, რომ თვითონ კონსტანტინე გამსახურდიამ რაღაც საოცრად რთული გზა გაიარა და ეს განაცხადა ამის დამადასტურებელია მისი ნათელი შემოქმედება, რომელიც მისი ხელიდან არის გამოსული.

ამიტომ მე ვიმეორებ და ვეთანხმები ამხანაგების აზრს, მაგრამ აქ ჩვენმა პარტორგანიზაციის მდივანმა განაცხადა: „თუ ეს ასეა“ და როგორღაც ეჭვქვეშ დააყენა საკითხი: მე ვფიქრობ, საკითხი ისე უნდა გამოგვეტანათ, რომ არ ყოფილიყო ეს „თუ ეს ასეა“. ეს იმ ტკივილებს კიდევ ერთ ტკივილს უმატებს. მე მომეწონა, ბატონმა ალექსიმ რომ პირდაპირ მიმართა კითხვით ზვიადმა არ უპასუხა: უპასუხეთ ბოლომდე, რომ ჩვენ შეგვეძლოს ნათელი დამოკიდებულება გვქონდეს საკითხთან.

ვიმეორებ, მე მხოლოდ იმ მასალას ვიცნობ, რაც პრესაშია და აქ ისეთი ფაქტებია, რომ ამიტომ ამხანაგების იმ წინადადებას ვუერთდები, მაგრამ მაინც მოვითხოვ, „თუ ეს ასეა“ და სხვა – ამ კითხვებზე პასუხი იყოს.

თავმჯდომარე – კიდევ?

რ.მარგიანი – ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული მწერლობა. მე გავეცანი ამ მასალებს. თავისთავად ზვიადის საქციელი მეტყველებს, რომ ის არ იზიარებს ქართული საბჭოთა მწერლობის პოზიციებს და თვითონ ლაპარაკობს – არ არის საჭირო იყოს წევრი ამ კავშირისა.

მ.ფოცხიშვილი – ბატონო სერგი, ზვიადმა რომ სთქვა, მე ხელს არ ვაწერ, მე არ ვარ ავტორიო, ამან დაბადა ეს აზრი.

ისე, თქვენ თუ არ წაგიკითხავთ მასალა, აქ არის და წაიკითხეთ.

თავმჯდომარე – ირაკლი, ხომ არ იტყოდით რამეს?

ი.აბაშიძე – რამდენი ხანია, რაც მივიღეთ ზვიადი მწერალთა კავშირში?

ზ.გამსახურდია – 1966 წლიდან.

თავმჯდომარე – 1968 წლიდან. აქ არის მასალა, ზვიად!

ი. აბაშიძე – 1968 წლიდან მე არ მახსოვს რომელიმე კაცის შესახებ გველაპარაკა და მათ შორის, პირველ რიგში, რასაკვირველია, უმძიმესია ვილაპარაკო კ.გამსახურდიას ოჯახის წევრების შესახებ (თავმჯდომარე – უკაცრავად, 1965 წელს მიგვიღია წევრად). რა მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, ამხანაგებო, უნდა ვთქვათ – საბჭოთა მწერალს არ შეიძლება სხვა რაიმე აზრი ჰქონდეს. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ჩვენს წესდებას იცნობს, მათ შორის რასაკვირველია, ზვიადიც იცნობს.

რასაკვირველია, არ შეიძლება, თუ ეს ყველაფერი ვიცით, რაც ვიცით ჩვენ... (მე ეხლა ავად ვიყავი და ყველაფერი ვერ წავიკითხე).

თქვენ აქ დაგიძახეს იმიტომ, რომ სთქვათ (ზ.გამსახურდია – **ბოლოს ვიტყვი**). სხვათაშორის, ბოლოს ჩვენ უნდა ვთქვათ ჩვენ რას ვლაპარაკობთ? (ზ.გამსახურდია – სასამართლოზე ჯერ ეკითხებიან ბრალდებულს და შემდეგ გამოაქვთ განაჩენი). თუ საჭიროა კენჭი ვუყაროთ, კენჭი იმიტომ, რომ თქვენთვის გადაწყვეტილია, საკითხი ნათელია და მომხრე ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდია გაირიცხოს, მაგრამ ჩვენ, ალბათ, იმიტომ დავუძახეთ, რომ მას მოვუსმინოთ ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ და მერე მოვუსმენთ?

11 წელია მწერალთა კავშირში გვყავს კაცი, ჩვენი დიდებისა და სიამაყის შვილი, ჩვენი ყველა ოჯახის შვილი. რა ვქენით, რა გავაკეთეთ?! ჩვენს თავზეც უნდა ვთქვათ და პირადად ჩემს თავზედაც – ვუთხარით მას რაიმე, გავაფრთხილეთ, დავუძახეთ? აი, მე რომ ირაკლი აბაშიძე ვარ – რა გავაკეთე. 1966 წელს მიგვიღია წევრად. ეგ დაჭერილი იყო ერთხელ, მეც მოვუბმარე. ჩემს თვალწინ უთხრა კონსტანტინე გამსახურდიამ, მოგკლავო, თუკი გაიმეორებო. მერე რა მოხდა, დავუძახეთ, ველაპარაკეთ, თუ რა ვქენით?! ასე არ არის სულ. ჩვენ ხომ გეთხოვენ პასუხს და მოგვკითხავენ და საავსებით მართალი იქნება. ასე კი არ არის – აუწევთ ხელს. ეს იმხელა დიდი მოვლენაა, რომ არც ერთ რესპუბლიკაში არ მომხდარა. თქვენ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ეს კაცი ამბობს – მე არა ვარ რედაქტორი, ჩემი ხელმოწერა არ არის. ვკითხოთ რაშია საქმე აბა.

რა არის, დაგვეძახებინა, ერთხელ გაგვეფრთხილებინა, მეორედაც უნდა გვემუშავა.

მე ცოტა მკაცრად გამოვდივარ, ავად ვარ – მე ჩემს შესახებაც ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ძმად მიმაჩნდა კონსტანტინე და მეგობრად მისი ოჯახი. ამ ბოლო ხანებში ხუთჯერ ვიყავით და დღე არ იყო, რომ არ დაერეკა ჩემთვის და გიორგი ნატროშვილისათვის. ჩვენ დამნაშავენი ვართ და ჩვენც მოგვთხოვენ პასუხს.

ხმები – სთქვას.

გაგრძელება იქნება

# ზვიად გამსახურდიას სასამართლო პროცესი 1977 წელს

როდესაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს, მაშინაც და მას შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში, საზოგადოება ორ ნაწილად იყო გაყოფილი ზ.გამსახურდიას სატელევიზიო გამოსვლის ე.წ. „მონანიების“ გამო.

ზ.გამსახურდიას „მონანიება“ იმჟამად დიდი გამარჯვება იყო საბჭოთა იდეოლოგიისათვის, მაგრამ ამ მიზნით მუშაობდა მთელი აპარატი. ერთ მხარეს იდგა ერთი კაცი და მეორე მხარეს მთელი სისტემა თავისი სისასტიკითა და ვირეშმაკობით, ამიტომ ყურთბალიშზე წამოწოლილი ხალხისაგან მისი განსჯა არ უნდა იყოს მთლად ეთიკური...

ქვემოთწარმოდგენილი წერილისადმი მკითხველთა რეაქცია ასევე არაერთგვაროვანი იქნება, მაგრამ ვბეჭდავთ მას როგორც დოკუმენტს პირუთვნელი მემატიანისათვის განსასჯელად. ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ამ წერილის ამერიკელ ავტორს ეროვნული ტკივილების გაგება ნაკლებად უნდა შეეძლოს...

სპეციალურად „ნიუ-იორკ თაიმსისათვის“, 1978, 24 ივლისი.

## საბჭოთა დისიდენტის ოდისეა: ურჩი ქართველი ნაციონალისტისაგან - გატეხილ მომნანიებლამდე

დევიდ კ.შიპლერი

მოსკოვი. 23 ივლისი. საბჭოთა სასამართლოს ბოლო კვირის სხდომის დადგენილებით, ორ ამერიკელ კორესპონდენტს ებრძანათ უარყოფა მათ მიერ ერთი ცნობილი დისიდენტის შესახებ დაწერილი სტატიებისა. მაგრამ ამ დადგენილების უკან სხვა ამბავი ამოტივტივდა, რომელიც ალბათ უფრო საინტერესო აღმოჩნდება საბჭოთა მოქალაქეთათვის.

ესაა გამოცანა თვით ამ დისიდენტისა. გამოცანა – ზვიად გამსახურდიასი, 39 წლის ინგლისურის მასწავლებლისა და სახელოვანი მწერლის ვაჟიშვილისა, რომელმაც დაიწყო, როგორც მშობლიური რესპუბლიკის, საქართველოს დამოუკიდებლობის მრისხანე და შეურიგებელმა დამცველმა და დაამთავრა ჩამქრალი თვალებით, საკუთარი ცოდვების სასამართლოს წინაშე აღიარებითა და მონანიებით.

ბოლო ხუთშაბათს მისი სასამართლოს წინაშე გამოსვლა იყო ერთ-ერთი ყველაზე დრამატული „აბრუნდი“ და საჯარო მონანიება ოცდაათიანი წლების სტალინური სამსჯავროების შემდეგ და ეხმაურება 1973 წლის სამსჯავროს, სადაც ორმა წამყვანმა დისიდენტმა, პეტრე ი.იაკირმა და ვიქტორ ა.კრასინმა უარჰყვეს თავიანთი მრწამსი პრესის თავყრილობის თანდასწრებით.

ნახევრად ოფიციალური წყაროების მიხედვით, მისტერ გამსახურდია, როგორც იტყვიან, „გატეხეს“. მაგრამ რამდენი ხანი დასჭირდა ამ „გატეხვას“ და რა საშუალებებით იყო მიღწეული, საიდუმლოს საფარველს ქვეშ რჩება. ერთი რამ, რაც ნათელია და სახეზეა, ესაა აშკარა კონტრასტი ექსტრემისტსა და მომნანიებელს შორის – კაცი, ოდესღაც ცნობილი თავისი ფანტასტიური ზღაპრებით კგბ.-ს საიდუმლო აგენტებზე, რომლებიც მის საკუთარ სახლში არიან ჩანერგილნი, მისი მოწამვლის დავალებით და კაცი, საკუთარი ქმედებისათვის პატიების მთხოვნელი და უცხოელი რეპორტიორების დამბეზღებელი (ჩემს შესახებ „ტყუილებს“ წერდნენო).

### სატელევიზიო აღსარება დადასტურებულია

მას მოსთხოვეს სატელევიზიო აღსარების დადასტურება 19 მაისს, იმ დღეს, როცა სამი წელი ციხე და ორი წლით გადასახლება მიუსაჯეს „ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის“. ზოგიერთმა მისმა მეგობარმა და ნათესავმა ორ კორესპონდენტს – კრეგ რ.უიტნის „ნიუ-იორკ თაიმსიდან“ და ჰაროლდ დ.პაიპერს „ბალტიმორ სანი“-დან შეატყობინეს, რომ ვიდეოჩანაწერი სამი სხვადასხვა ნაჭრისაგან შესდგებოდა და ფალსიფიცირებული იყო, რომ თვითონ ზვიადს არ ახსოვს ეს ფირი.

კორესპონდენტებმა, გადასცეს რა თავიანთ გაზეთებს კორესპონდენცია სატელევიზიო აღსარების შესახებ, ასევე გადასცეს მისი მეგობრების განცხადებებიც. ამის შედეგად ქვეყნის სატელევიზიო სამსახურმა ცილისწამებისათვის მათ პასუხი მოსთხოვა. პატრონმა გაზეთებმა, ამტკიცებდნენ რა გამოქვეყნებული მასალის სამართლიანობას და იმას, რომ მოსკოვის სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია ამერიკულ პუბლიკაციებზე, ცივი უარი განაცხადეს უარყოფის გამოქვეყნებაზე მაგრამ, როცა გამსახურდიამ ამ სასამართლოზე დაადასტურა თავისი სატელევიზიო აღსარება, ამის შესახებ, რა თქმა უნდა, შეატყობინეს თავიანთ მკითხველებს.

მაღალი შავთმიანი ქართველი, თავის დისიდენტურ საქმიანობაში, ნიშანდობლივად განსხვავდებოდა საბჭოთა პოლიციური რეჟიმის სხვა მოწინააღმდეგისაგან. მისი წინააღმდეგობა დემოკრატიული უფლებებისათვის ბრძოლიდან კი არ მომდინარეობს, არამედ – ეროვნული გრძნობებიდან. იგი ამას „პატრიოტიზმს“ უწოდებს და თავის თავს თვითონვე აჯილდოვებს ქართველი ხალხის რუსეთისაგან დამცველის ტიტულით.

ქართველები, თავისი კულტურული თვითმყოფადობით მძინვარედ მოამაყენი, შთამომავალნი შავი ზღვიდან კავკასიაში განსახლებული ტომებისა, მგზნებარე ხასიათით გამოირჩევიან და მკვეთრ კონტრასტს ჰქმნიან რუსების უმეტესობის ჩლუნგ, დონდლო უხეშობასთან. მათი რელიგიის, ენის, ცეკვების, უძველესი ლიტერატურული მემკვიდრეობა საუკუნეების მანძილზე გადაურჩა მონღოლების, სპარსელების, თურქების შემოსევებს, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთის მმართველობასაც.

### გაღვივებული აღშფოთების პორტრეტი

მისტერ გამსახურდია, ხედავდა რა კულტურის გადაგვარების ნიშნებს, თავისი თავი რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერად ჩათვალა. მკაცრად სერიოზული, იუმორის ნაპერწკლის გარეშე, კატეგორიული თავის განცხადებებში და უკომპრომისო თავის შეხედულებებში, იგი წარმოგვიდგება, როგორც პორტრეტი გაღვივებული აღშფოთებისა. საკუთარ იატაკქვეშა ჟურნალ „ოქროს საწმისში“ დაბეჭდილ და აგრეთვე დასავლეთის კორესპოდენტებისათვის გადაცემულ სტატიებსა და განცხადებებში ისეთ ექსტრემალურ ბრალდებებს აყენებს საქართველოში არსებული სიტუაციის, ინტრიგების, კორუფციის, ძალადობისა და პოლიტიკური მკვლელობების ისეთ პირქუშ სურათსა ხატავს, აგრეთვე თავს უფლებას აძლევს შავების, რუსებისა და სომხების ისეთი რასისტული ლანძღვისა, რომ ამერიკელ ჟურნალისტთა უმეტესობა უკვე უნდობლად ეკიდება მის მტკიცებებს.

მის დაპატიმრებამდე შვიდი თვით ადრე, 1976-ის 21 სექტემბერს აღებულ ინტერვიუში, მან საქართველო დაახასიათა, როგორც „ალბათ, უკვე ნახევრად დამოუკიდებელი“. მან დაამატა, რომ „იქნებ შესაძლებელიცაა ფორმალურად საბჭოთა კავშირში შედიოდე, მაგრამ ფაქტიურად იყო დამოუკიდებელი“. შემდეგ იგი უამბობს ინტერვიუერს, რომ სროლებმა და აფეთქებებმა ააწიოკეს საქართველო, რომ კერძო მეწარმენი, არალეგალური ბიზნესის წარმომადგენლები „საიდუმლო შეთანხმებაში არიან სამხედროებთან, რომლებიც მათ იარაღითა და ასაფეთქებელი მასალით ამარაგებენ“. მერე კითხულობს: „რატომ უნდა სანსლავდეს რუსეთი სხვა ხალხებს?“. ისინი მას სტომაქში ჰყავს, მხოლოდ ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია“.

როცა ცეცხლოვანმა სიტყვებმა ვერ მოუპოვა ის ყურადღება, რომელსაც იგი მოითხოვდა ამერიკელი კორესპონდენტებისაგან, (ისინი მხოლოდ იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე ახსენებდნენ ხოლმე მას), მან საქართველოს „განმანთავისუფლებელი“ ბრძოლის იგნორირება უსაყვედურა. სწორედ ამ კონტექსში იყო, როცა მან ამერიკის დაინტერესებასა და დახმარებაზე ხვეწნა-მუდარათა შორის გააკეთა განცხადება, რომ იგი მიესალმება შეერთებული შტატების ინტერვენციას საქართველოს საბჭოეთიდან გამოსაყოფად. ასეთი განცხადება ნებისმიერ სახელმწიფოში განიხილება, როგორც პირდაპირი მიწოდება აჯანყებისაკენ თანაც ეს ხდებოდა მოსკოვურ, „ხოჭოებით“ (მოსასმენი აპარატურა) კარგად დატენილ აპარტამენტში, სადილობისას, 1976-ის დასაწყისში. ჩამოვარდა გაოცებულ-გაოგნებული სიჩუმე და აქ მყოფ ამერიკელებში უნდობლობის გრძნობა დაიბადა.

### განცხადება მეორდება, შემდეგ კი უარიყოფა

ეს განცხადება მან რამდენიმე თვის შემდეგ, თბილისშიაც გაიმეორა და თან კორესპონდენტს დაბეჭდვის ნებაც მისცა. ხუთშაბათს, სასამართლოზე, ორ ფორმიან მცველს შორის მდგარმა, უარჰყო და თქვა, რომ ასეთი იდეა – ის იდეა, რომლის გამოც ცეცხლის ხაზის წინ შეეძლო დადგომა – საერთოდ თავშიაც არასოდეს მოსვლიაო.

როგორც დისიდენტი, გამსახურდია დაჟინებით ხატავდა საბჭოთა რეჟიმის მონსტრულ ბუნებას, კგბ.-ს როლს, როგორც მისი და მისი ოჯახის დაღუპვის მცდელობათა ორგანიზატორისა. 1975-ს 9 დეკემბრით დათარიღებულ, მანქანაზე ნაბეჭდ გრძელ რეპორტაჟში, იგი დაწვრილებით აღრიცხავდა მუქარებსა და მისი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობებს. ეს ყველაფერი იმდენად ექსცენტრულად და უცნაურად გამოიყურებოდა, რომ ყოველი სხვა დისიდენტი პარანოიის ნიშნებს ამოიცნობდა.

1970-ში მისტერ გამსახურდია წერდა, რომ კგბ.-დან მიიღო მუქარის წერილი. ემუქრებოდნენ სიკვდილით თვითონ მას და მამამისს, კონსტანტინეს, რომელიც მისმა სახელმოხვეჭილმა ისტორიულმა რომანებმა მდიდარ და პოპულარულ ფიგურად გადააქცია საქართველოში. 1971-ს ზაფხულში ვაჟიშვილი განაგრძობს მტკიცებას, რომ გრძელდება მუქარები ტელეფონით, პირდებიან „ხულიგან-პროვოკატორთა“ ბანდის შემოჭრას მამამისის სახლში, ავტოკატასტროფის მოწყობას და სხვა, რომ მან აღმოაჩინა მისი პირველი ცოლის კგბ.-თან კავშირი – იგი დაქირავებულია მამამისის მოსაწამლად.

ყოველთვის ამოუცნობ ამოცანად რჩებოდა, რატომ და როგორ ითმენდა კგბ. ამდენ ხანს ტოტალიტარიზმის ცნობილ ციტადელში გამსახურდიას მოღვაწეობას. ამისი ახსნა ნაწილობრივ შეიძლება, რა თქმა უნდა, მამამისის რეპუტაციით და ქართველების მის სახელთან დაკავშირებული გრძნობებით.



### კავშირის რღვევა ძალაუფლებასთან

1977-ში, როცა გამსახურდია (შვილი) მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, მის სახლთან ორასამდე კაცი შეიკრიბა და სიმღერით გამოხატა მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა, როგორცა ჩანს, ხელისუფლების სტრუქტურებშიც ვრცელდებოდა, რის შედეგადაც ხელი მიუწვდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ დოკუმენტზე, პატაკებზე ტერორიზმისა და სხვა დანაშაულთა ფაქტების შესახებ. ჰქონდა საშუალება პრესის ბეჭდვისა, რაც შემდეგში თითქმის პროფესიონალურ გამოცემებში (სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“ და სხვა აკრძალული შრომები) გადაიზარდა.

იყო რაღაც ფანატიკური იმაში, რომ მან გამოაქვეყნა ცნობილი, სახელიანი ქართველების სია, რომელთაც ბრალს სდებდა კგბ.-თან თანამშრომლობაში. ამ სიაში მოხვდა ერთი ლიტერატორიც, რომელსაც მოსკოველი ინტელექტუალები უპატიოსნეს ადამიანად აღიარებდნენ. ამან აღშფოთება გამოიწვია და ლევ კოპელევმა, სტალინის „ლაგერებში“ წლობით ნაწვალებმა დისიდენტმა მწერალმა, ამ პიროვნების დასაცავად გამსახურდიას წერილი მისწერა. ამაზე ქართველმა მკვახედ უპასუხა და თითონ კოპელევს უწოდა „ლაყე, გამოტვინებული ბებერი დათვი, მეტისმეტად მომთმენი და შემგუებელი“.

„ზვიადი ნიჭით დაჯილდოვებული კაცია“ – აღნიშნავდნენ მისი მეგობრები – „მაგრამ არსებობს ორი გრძნობა, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე ამოძრავებს. ერთია – პატივმოყვარეობა. მას უნდა, რომ საქართველოს ეკლესიის ლიდერი გახდეს, შემდეგ კი მთელი ერისაც. მეორეა – სიხარბე. იგი მიჩვეულია მეტად კომფორტაბელურ ცხოვრებას. მამამისისაგან ბლომად აქვს ფული, სახლი მთაში, სახლი ზღვის სანაპიროზე, დიდი სახლი თბილისში, მანქანები მისი დაპატიმრების შემდეგ, იმათაც კი, ვისაც ეჯავრებოდა, სიტყვა არ დაუძრავთ მაგის საწინააღმდეგოდ. ეგ იმიტომ, რომ ეროვნული წამებულია.

„მაგისი დაპატიმრება, მაგისი გამარჯვება იყო“ – თქვა სხვამ – „მაგრამ, რას იზამ?.. ზვიადს არჩევანი ჰქონდა: ეროვნული გმირობა, ციხეში ჯდომა და ქონების დაკარგვა, ანდა მისი სახლებისა და მანქანების შენარჩუნება და მონანიებული ცოდვილის სახელი. მან მეორე აირჩია“.

აქ ამბობდნენ, რომ როცა გამსახურდიამ სხვა დისიდენტების დასახელება დაიწყო, მისმა ცოლმა, მანანამ დაუძახა: „რას შვრები ზვიად?.. შეჩერდი!“ მან კი უპასუხა: „მაგათ აქეთ-იქით ისეირნონ და მე ციხეში ვიჯდე?!“

თუმცა, ცნობილია გზა, რომლითაც ის აქამდე მივიდა. იგი ცამეტი თვით იყო გამწესებული მოსკოვის სერბეკის ინსტიტუტში, რომელიც ცნობილია ფსიქიატრიის დისიდენტთა წინააღმდეგ გამოყენებით. სამსჯავროზე, როგორცა თქვეს, ფრიად გამოფიტულ – გამოწურული ჩანდა.

ისე კი, ზოგი ისეთიც, რომელიც მას პატივს არა სცემდა და რომელსაც დისიდენტის უპირველეს თვისებად გაუტეხაობა და სტოიციზმი მიაჩნია, არა ჩქარობენ მკაცრი მსჯავრის გამოტანას. „მე იქ არა ვყოფილვარ და შენ იქ არა ყოფილხარ“ – თქვა ერთმა ქალმა – „ამიტომ ვერ ვიტყვი, მე რას ვიზამდი...“

მისტერ კოპელევმა კი დაასკვნა: „კაცისაგან უეჭველი გმირობის მოთხოვნა – ეს ძალიან ბევრია. მაგრამ გარეწრად დაჯდომაც უკვე მეორე უკიდურესობაა. რაც უფრო დიდია პრეტენზიები, მით უფრო ღრმა არის დაცემაც“.

თარგმანი ინგლისურიდან
ვ.ბიბაშვილისა

გაზ. „მამული“ 1992 წ.

ეპოქის სარკე

# ქართველი მწერლები და 1991 წლის 2 სექტემბრის აქცია

## ქვეყნდება პირველად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №50,51,52

**სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებისა 1991 წლის 12 სექტემბერი**

**თავმჯდომარეობს – მუხრან მაჭავარიანი**

იზა ორჯონიკიძე – აი ამაზე მოვაწერ ხელს.

(ხმები – მოვაწეროთ!.. დარბაზში რამოდენიმე კაცი დგება და აწერს ხელს ჭამიერეჯიბის გამოსვლას) (ტაში).

(ხმა დარბაზიდან – აი რაზე უნდა მოაწეროს ხელი ნამდვილმა მწერალმა. მე მოგიწოდებთ ხელი მოაწეროთ. დარბაზში მოძრაობაა, მიემართებიან ხელის მოსაწერად. ხმაური)..

აკალაძე – განა ეხლა იწყება ხელმოწერა? ხალხმა უნდა იცოდეს კიდევ რა დოკუმენტი გვაქვს.

(დარბაზში ჩოჩქოლია, ხალხი დგება და მიდის ჭაბუასთან და აწერენ ხელს).

მუხრან მაჭავარიანი – ვისაც რაზეც უნდა მოაწეროს ხელი.

ა. კალაძე აპროტესტებს, მაგრამ ვინ უჯერებს:

მეგობრებო, სიტყვაში ვინცა ხართ ჩაწერილი, გამობრძანდით.

(დარბაზში ჩოჩქოლი არ წყდება).

ამირან კალაძე – მაშინ შეწყდეს ხელმოწერა!.. (ხმაური..)

იზა ორჯონიკიძე – შენ რა გალელვებს.

ხმა დარბაზიდან – რა ამბავშია. ეს ვინ არის, რა მწერალია, რა ამბავშია. ერთი კილო ნაწერები მაინცა გქონდეს.

(საერთო ხმაური).

იზა ორჯონიკიძე – ბუჩქებში ვინც იჯდა, ის ეხლა იწყებს აქ ხმაურს.

მუხრან მაჭავარიანი – თქვენ თუ გგონიათ, რომ ვინმეს ეშინია...

იზა ორჯონიკიძე – შენ არავისი არ გეშინია.

მუხრან მაჭავარიანი – მე გთხოვთ ერთმანეთს ნუ შეურაცხყოფთ. ბატონო ამირან (მიმართავს აკალაძეს – სტ.), მე ვარ აქ თავმჯდომარე და უნდა დამემორჩილოთ. კაცმა წაიკითხა თავისი სიტყვა და ბევრ რამეში ვეთანხმები. რომელსაც გინდათ, მოაწერეთ ხელი. ზოგს კვაჭანტირაძე უნდა პრეზიდენტად და ზოგს – ზვიად გამსახურდია.

(დარბაზში ხმაურია)...

ჯემალ ქარჩხაძეს ეძლევა სიტყვა.

ჯემალ ქარჩხაძე – მე არა მგონია ქართული მწერლობა არ არჩევდეს ერთმანეთისაგან თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ვერ არჩევდეს რა არის კომუნისტური რეჟიმი და რა არის ზოგადად დიქტატურა, რომ კომუნისტური რეჟიმის დამხობა არ არის დიქტატურის დამხობა. მე არა მგონია, რომ მწერლებმა არ იცოდნენ, რომ ხალხს რომ ესვრი ტყვიას, ეს დანაშაულია და მე არა მგონია, ქართველმა მწერლებმა არ იცოდნენ რა არის დემაგოგია; არა მგონია, ქართველმა მწერლობამ არ იცოდეს, რომ ის, რაც დღეს არის საქართველოში, ეს არის დიქტატორული რეჟიმი. ეს ქართულმა მწერლობამ იცის...

მიუხედავად ამისა, აქ არის მცდელობა შეიქმნას დოკუმენტი, რეზოლუცია, რომელიც თუ არ იქნება მაამებლური, იქნება უეჭველად კომპრომისული.

აქ ბრძანეს, რომ ამ ტრიბუნას ხალხი უსმენს და უსმენს დიდი ინტერესით. სავსებით სწორია, მაგრამ ამ ტრიბუნიდან იშვიათად გვსმენია მართალი სიტყვა. დღეს მოგვეცა შანსი, რომ ქართული მწერლობა გადარჩა და შევიდა ისტორიაში, როგორც ღირსეული. ქართულ მწერლობას სახელი გაუტყდა, შთამომავლობა არ მოიხსენებს ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

მე მოგიწოდებთ არანაირ კომპრომისულ რეზოლუციას ხელი არ მოაწეროთ. ნუ შევირცხვენთ თავს, თუ მართლა ერი ელოდება ჩვენგან სიტყვას, დღეს ჩვენ უნდა დავდგეთ არა კომპრომისულ პოზიციაზე. თავისუფლება არის იქ, სადაც არ არის დღევანდელი ხელისუფლება, სადაც არა ხართ თქვენ (ტაში). თქვენ საქართველო მიგყავთ კატასტროფისაკენ. დღეს საქართველოში არის დიქტატურა და თქვენ ცდილობთ, რომ ეს დიქტატურა გახდეს კლასიკური, ისეთი, როგორიც იყო სტალინური.

ყველაზე დიდი ვაჟკაცობა ის არის, როგორ გადადგებით, როცა უნდა დაიშალოს და პარლამენტმა უნდა განაცხადოს თვითდაშლა. დღეს საქართველო არის სამოქალაქო ომის წინაშე და შენ, ამირან, იცავ კონიუნქტურას.

მე აქ ბატონი მუხრანისაგან გავიგონე, შეიძლება მორიგებაო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც ზვიადს უნდაო...

(მ.მაჭავარიანი, – არა, მე ვთქვი – როგორც ღმერთს უნდა)... მაგრამ ის, რაც ღმერთს უნდა, იმას ჩვენ ნუ მოვითხოვთ კაცისაგან. ჩვენ უნდა გადავიქცეთ უზნეო გარანტებად.

მე მინდა გავამართლო ბატონი ჭაბუას წაკითხული წერილი, მე ამას ვეთანხმები თითქმის ყველა პუნქტში, თითქმის ყველაფერში ვეთანხმები. ეს არის ტრაქტატი, ფილოსოფიური ტრაქტატი, მაგრამ რომ მოვაწერო ხელი, მე მირჩევნია მკაფიოდ ჩამოყალიბოს რეზოლუცია მწერლობისა, სადაც აღინიშნება – ბატონი პრეზიდენტი გადადგეს, უზენაესი საბჭო დაიშალოს, დაინიშნოს ახალი არჩევნები. წინააღმდეგ შემთხვევაში არის სამოქალაქო ომი.

მ.მაჭავარიანი – სიტყვა ეძლევა ტაგუ მებურიშვილს.

ტაგუ მებურიშვილი – საქართველოში დიდი უბედურება 2 სექტემბრიდან დაიწყო. ორმა სექტემბერმა ისეთი აღმოაჩინა, რაიც არ ჩანდა, შეუიარაღებული თვალით არ ჩანდა, იმ თვალით, ახლა რომ ვიხედებით. ერთმა მონარქმა სიკვდილის წინ თავისი სამფლობელო მონარქად გაზრდილ შვილს დაუტოვა, დაუმტკიცა და დამოძღვრა – შვილო, ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ დააწინაურო ის ადამიანი, რომელმაც გული გატკინა რაიმე მიზეზის გამო. ის შენი ერთგული არ იქნება.

ბატონმა მუხრანმა რომ მიზეზი დაასახელა, მხოლოდ მისგან არ გამიგია, სხვებისგანაც გამიგია – რომ ამ მდგომარეობას ძმათა სისხლისღვრა შეიძლება მოჰყვეს. ომის დაწყებისათვის შეიძლება იყოს პროვოკაცია: 1. ომონი 2. მომიტინგეები 3. თვითონ ძალა, ისინი, ვისაც ევალება ეს წესრიგი დაიცვას, ომონს ვინც ხელმძღვანელობს.

მე მგონი ბატონო მუხრან, ეს მოხდა იმათგან, ვინც ეს ომონელები აღზარდა. რატომ დავიწყე ლაპარაკი იმით – მონარქმა რომ შვილი დამოძღვრა. ორი კაცი არის საკმაოდ დიდი თანამდებობიდან ჩამოსაყენებელი და ერთ-ერთი მათგანი განაწყენებული იყო ხელისუფლებაზე, ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ომონისა.

მე მგონი, პრეზიდენტი არ არის ისეთი ჩიტიჭკუა კაცი, რომ ძმათა სისხლისღვრა იმას მოეწყო. ეს პროვოცირებულია იმათ მიერ, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ამ ბიჭებთან. ჩვენ ყველამ ვიცით, 20 წლის ბიჭები არაფერს შეუშინდებიან და ხანდახან სალმისათვის კი შეიძლება აუხირდნენ კაცს და მოკლან კიდეც. და ეს ის ომონია, რომელშიაც იმ ახალგაზრდებმა კარგად აითვისეს ეს კარატეს თუ იოგას ილეთები და ამის გამოცდაც უნდათ (დარბაზში აღშფოთება) – ეს ჩემი აზრი არ არის. ეს იყო პროვოკაციები თვით იმ ხალხისა. აქ ორ მომენტზე ითქვა – არ უნდა გამართულიყო ეს მიტინგი და მეორე, უნდა დაშლილიყო. მე მიმაჩნია, როგორი ლოზუნგებიც არ უნდა ყოფილიყო, პირველი დანაშაული ის არის, რომ მოძმეზე ხელის აღმართვა არ შეიძლებოდა. მიტინგის გამართვა შეიძლებოდა, მიტინგი გამართულიყო, მაგრამ მოძმეზე ხელის აღმართვა არის უდიდესი დანაშაული. მთავრობა ამას გამოიკვლევს იმიტომ, რომ მის ინტერესებში შედის.

ახლა არ მინდა კომპლიმენტების თქმა, მაგრამ უნდა ვთქვა – ბატონი მუხრანის გამოსვლაში ბრწყინვალე ადგილები იყო. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის გამოსვლაში ბარე ათი რამ იყო ყურადსაღები, მაგრამ ის, რომ პრეზიდენტის გადადგომა მოვითხოვოთ, მე მგონი ეს ჩვენს უფლებას აღემატება.

მუხრან მაჭავარიანი – დავაწესოთ რეგლამენტი 5 წუთი.

სიტყვა ეძლევა სილოვან ნარიმანიძეს.

სილოვან ნარიმანიძე – ჩემი გამოსვლა ფრაგმენტულია. საჭიროდ ჩავთვალე ზოგიერთი მოსაზრება გაგიზიაროთ იმაზე, თუ როგორ ვცხოვრობთ. ჩვენ ყველანი ხომ სამყაროს შვილები ვართ, სამყარომ კი ერთნაირი მოვალეობანი დაგვაკისრა. ადამიანთა ურთიერთობებმა, რომელმაც დაამხო ბევრი ჩვენი ტრადიცია, საოცარ ჩიხში მოგვამწყვდია, ამიტომაცაა, რომ თავისუფლების ვნებათაღელვამ ერის ძირითადი მალები აიყოლია. ამ ბრძოლას თუ კლასობრივი ერქვა, ახლა პარტიათა და შეთანხმებულ ჯგუფთა ბრძოლაა, რომელთა იდეოლოგია დიდად არ განსხვავდება ერთიმეორისაგან. ახლა ერთი დაჯგუფება ებრძვის მეორეს. ყველას პოზიციების მოპოვება უნდა, თუ რა გზით, ამას კი არ დაგიდევენ. ხალხმა აირჩია პრეზიდენტი და ჩვენ უნდა აღვასრულოთ ხალხის ნება. გვინდა თუ არ გვინდა, სწორედ მიგვაჩნია თუ არასწორად, ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ დავემორჩილოთ ამ ჩვენს ტრადიციულსაც და უმაღლესსაც, რის გარეშეც იქმნება ანექსია, უწესრიგობა, ტალაობა და ათასგვარი დარდუბალა. ფშავლებსა აქვთ ერთი ყველაზე საშინელი წყევლა, ოჯახი გაგითანასწორდესო, ე.ი. უმცროს-უფროსობითი ცნება დაგვეკარგოსო. მათი აზრით, ეს არის ადამიანთა, ოჯახისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში ყველაზე დიდი უბედურება.

ზუსტად ასე მოგვდის ჩვენ. აღარ ვცნობთ კანონებს, არ ვემორჩილებით პრეზიდენტს. რა გამოვიდა? – გამოვიდა ანარქია, რომელშიც ჩაიძირა ჩვენი ტანჯული ქვეყანა და მტრების სასაცილო ვხდებით.

ჩემი აზრი თუ გნებავთ, მოგახსენებთ, რომ მე დიდად ვაფასებ ჩვენი პრეზიდენტის, ბატონ ზვიადის თავდადებას, მისი და ცხონებული მერაბის თავგანწირვას იმ დროს, როცა მცირე იჭვის გამოც კი ადამიანები განწირულები იყვნენ. მაშინ არ შეშინდნენ ისინი, არ შეუშინდნენ კატორღას, სიკვდილს და მტკიცედ აღიმართნენ რეჟიმის წინააღმდეგ. ხალხმა დააფასა და გაჰყვა მას. ნდობა გამოუცხადა, უდიდესი ნდობა ხალხისა ახალ ძალებ[illegible] და ყოველდღიურ ცხოვრებას.

შეცდომებისაგან [illegible] დაზღვეული [illegible] ვაწევები. ამაზე თვითონ პრეზიდენტმაც ბრძანა. ჩვენ უნდა ვიყოთ მიმტევებლები, ყოველ პარტნიორში არ უნდა ვხედავდეთ ჩვენს მტერს. კეთილი გული უმალ იცნობა და ყველას უნდა დავანახოთ ჩვენ ეს კეთილი გული. მე არ მინდა ჩემი გამოსვლა ვინმეს ხოტბითა და განდიდებით დავიწყო. ზოგიერთ რამეს მე ჩემი თვალით ვხედავდი და როგორც ვხედავ, ისე მინდა თქვენც გადმოგცეთ.

ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში და ყველაზე უფრო თვალში საცემია ის უშრომელი ადამიანები, რომელთა რაოდენობა დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება. ამიტომაა, რომ სულიერ კრიზისთან ერთად ეკონომიკური კრიზისიც გვახრჩობს. არ იქმნება პროდუქცია. ჩვენი ზეგნები და მთები დაყამირებულია, როცა იქ იმდენი კარტოფილის მოყვანა შეიძლებოდა, მთელ ევროპას რომ გამოჰკვებავდა.

როგორ გამოიყურება დღეს ამ რთულ ვითარებაში მწერლობა?.. მართლაც რომ დიდი მოვალეობა აკისრია მას, მაგრამ ახლა ისე მიდის საქმეები, აღარც ვიცით, ვართ თუ არა! არავინ არ გვისმენს, ჩვენი ამბავი არავის არ აინტერესებს, 70 წლის წინათ შექმნილი რეჟიმის პირობებში უდიდესი ნგრევა განიცადა ჩვენმა ერმა. ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ვართ, თუმცა დაბეჩავებით ჩვენი ხალხი გაურკვევლობის ბურუსიდან ვერ გამოსულა. ცხოვრების ქარიშხლები კი ახალ-ახალ ტილოებს ახეთქებს ჩვენს წაასაშლელად. რუსეთის იმპერიას უჭირს ჩვენი დათმობა, ზოგ-ზოგებს ჩვენებსაც უჭირთ მათი დათმობა. ვაჟა კი გვეუბნება „თავისუფლების პოვნა სჯობს საშოვნელსა ყველასა".

მოვიდა ხალხის ხელისუფლება და ათასგვარი მახეები დახვდა. ძნელდება ჩვენი მომავლის მართვა, დიდი ძალისხმევა და მოქნილი პოლიტიკაა საჭირო. ყველაზე მძიმე გარემოებაში ერი აღმოჩნდა. ჩვენი ხომალდი, რომელიც სწორხაზოვნად მიემართება, საცაა მიეჯახება მრისხანე აისბერგს, რომელიც ჰორიზონტზე მოჩანს.

ჩვენ უნდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოვიყენოთ მტერიცა და მოყვარეც. ჰანიბალის ფიცი დღეს არ გამოგვადგება. ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობა კი, რაც დღეს ჩვენ დრომ მოგვიტანა, ყოველთვის არ გვექნება. სწორედ ახლა ამ დიდ პროცესს წინ გადაელობა შინააშლილობა.

გვინდა თუ არ გვინდა, ხომ ცხადია, რომ ისტორიამ გორბაჩოვსა და შევარდნაძეს დიდი მისია დააკისრა. ეს სიმართლეა. მათ წარმოუდგენელი რამ გააკეთეს, რუსეთის იმპერიის ბორკილებისაგან გაანთავისუფლეს არა – თუ ევროპა, არამედ მთელი მსოფლიო. ჩვენი შინააშლილობის მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ ჩვენმა გაზეთებმა დაუსრულებელი კამპანია დაიწყეს მის წინააღმდეგ, კონკრეტულ ფაქტებს კი არავინ სწერს. ის კი არა და, ეს კამპანია გრძელდება მხატვარ წერეთლის მიმართაც. მათ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ წარსული შეცდომები. შეიძლება ახლაც ერის ხსნის სხვა გზას არჩევენ ისინი, მაგრამ მამული რომ არ უყვარდეთ, წარმოუდგენლად მეჩვენება. ხომ არ სჯობდა გაგვემართა მათთან ცოცხალი დიალოგი, ჟურნალისტური შეკითხვების ნაცვლად პირისპირ დავმდგარიყავით და გვესაუბრა, ჩვენი პრეტენზიები გვეთქვა, მისიც მოგვესმინა. იქნება მწერლებმა გავაკეთოთ ეს. ვთხოვოთ ჩამოვიდეს და შეგვხვდეს, მოგვისმინოს და მოვუსმინოთ. მე მინდა ეს საკითხი დღეს აქვე გადავჭრათ. თუ არ ჩამოვიდა, მაშინ ყველაფერი ნათელი იქნება. სიმართლე აღმოჩნდება, რასაც მასზე სწერენ.

მოწინააღმდეგისადმი რაინდული დამოკიდებულებას ჩვენს ერს ყოველთვის ღირსებას მატებდა. ისტორიიდან ვიცით, თუ როგორი ცხარე ცრემლებით დაიტირა ცეზარმა თავისი მოწინააღმდეგე პომპეუსი, როცა ის მისგან დამარცხებული და დევნილი ეგვიპტეში მეკობრეებმა მხეცურად მოკლეს. როცა ცეზარმა ეს შეიტყო, სასტიკად დასაჯა მისი მკვლელები.

ამ დღეებში პრესაში წავიკითხე, თუ როგორ მოინახულა ჩვენმა პრეზიდენტმა მოშიმშილეები, ის მოშიმშილეები, რომლებიც მის პოზიციას უჭერენ მხარს. სწორი გითხრათ, გული დამწყდა, იქვე ხუთას მეტრზე იყვნენ სხვა მოშიმშილეები, რომლებმაც უფრო ადრე დაიწყეს შიმშილობა. გული დამწყდა, რომ პრეზიდენტი მათთანაც არ მივიდა. ეს ხალხი ხომ განწირული ხალხია. პრეზიდენტს კი, ხალხ-

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე გვერდიდან

ისა და ღმერთის რჩეულს, მას მათთვისაც უნდა ეცა ნუგეში, როგორც ამას ქრისტიანული რწმენა გვასწავლის.

მე მხარს ვუჭერ დიდი ამერიკელი დემოკრატის უიტმენის მოძღვრებას, რომელიც ყოველგვარ პარტიულ მოძღვრებაზე მაღლა ადამიანურ მოვალეობას აყენებს.

დღეს, როგორც არასდროს, იგრძნობა ინფორმაციის ნაკლებობა. ვიცი, რომ სამაჩაბლოში მძიმე ბრძოლებია. დროდადრო ყურს თუ მოვკრავთ რაღაცას. რა ხდება სესიებზე, ნაკლებად ვიცით, მაშინ როცა მოსკოვიდან ორი-სამი დღე გრძელდება ხოლმე სესიების ტელერეპორტაჟი.

ჩემის აზრით, ჩვენ უფრო კარგად, მოქნილად უნდა გამოვიყენოთ სახალხო დიპლომატია– (ხმები დარბაზიდან – რეგლამენტი!)– გინდაც იგივე ოსებთან და აფხაზებთან დამოკიდებულებაში, უნდა შეიქმნას ჯგუფი, ხელოვნების, მეცნიერების და სხვა დარგების წარმომადგენელთაგან, 9-10 კაცის შემადგენლობით. შეიძლება მათთან გლეხური ინტელიგენციის წარმომადგენლებიც მოვიწვიოთ სხვადასხვა კუთხეებიდან (ხმები – რეგლამენტი!)– მათ უნდა მოაწესრიგონ პარტიათა შორის უთანხმოებანი, ჩვენ კი უნდა დავუჯეროთ მათ რეკომენდაციებს.

დღევანდელ პროცესში ინტელიგენცია თითქოს გვერდზე დგას, მწერლობა ხომ დავიწყებულია, მხოლოდ 2-3 მწერალი ჩანს ასპარეზზე და ისინიც მწერლობის საერთო აზრს არ გამოხატავენ. მწერალთა სხვადასხვა წარმომადგენლები უნდა იყვნენ მიწვეული სესიებზე, სესია უნდა ისმენდეს მათ აზრსაც.

საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობა ტრიბუნიდან დაუბრუნდეს მრგვალ მაგიდას. ყური დავუგდოთ ერთმანეთს, გამომწვევი დამოკიდებულება მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. თავისუფლებისათვის ბრძოლაში ხომ ჩვენ ყველანი ვმონაწილეობდით. ერთმა პარტიამ გაიმარჯვა, დანარჩენი სხვა პარტიები კი ქუჩის ანაბარა დავტოვეთ. მათზეც პრეზიდენტმა უნდა იზრუნოს. ისინი ჩვენი სისხლხორცეულნი არიან. შეიძლება ვინმე შეცდა. ისინიც სწორ გზაზე უნდა დავაყენოთ. პრეზიდენტმა უნდა იზრუნოს მათი დასაქმებისათვის. დიდი ხანია მთელი საქართველო ტრიბუნაზე დგას. სახნისს კი არავინ ჰკიდებს ხელს.

განსაკუთრებით ეს ითქმის ქალებზე. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში დღეს გადამწყვეტ სიტყვას ქალები ამბობენ. ეს ნაზი არსება ჩვენ გავწირეთ, მათ არ სცალიათ შვილების აღსაზრდელად, ოჯახებზე ზრუნვისათვის. მოენატრა საქართველოს აკვანში თავდახრილი მანდილოსანი, სამაგიეროდ მოიმატა ისტერიკებამდე მისულმა მათმა ქინიანობამ. ისინი თავგანწირვით იბრძვიან იმ საქართველოსათვის, რასაც პოლიტიკა ჰქვია, მაშინ როცა, როგორც ჩვენი მინისტრი, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე ბრძანებდა, საშუალო სკოლაში კლასიდან კლასში გადასასვლელ გამოცდებზე არ გამოცხადდა 60% ქართველი მოსწავლეებისა. სადა ხართ დედებო, მანდილოსნებო, ახალგაზრდების აღმზრდელებო?–

ჩემთვის პირადად დიდ შეურაცხყოფად ჩავთვლიდი, ჩემი 80 წლის მოხუცი დედა ტრიბუნაზე ანდა დემონსტრანტების გვერდით მენახა. ცოდოა მისი გაწირვა ამისათვის.

ჩვენ უნდა მივცეთ მაგალითი სხვა ერებს ჰუმანიზმის მაღალი არსისა. რუსთაველისა და ილიას, დავით აღმაშენებლის მაგალითები კმარა ამისათვის. ჩვენ ვეფუძნებით ქრისტიანულ მოძღვრებას, ყველაზე უფრო ჰუმანურ, ყველაზე უფრო უმაღლეს მოძღვრებას ყოველთა მოძღვრებათა შორის. ისტორიამ ბევრი რამ გვასწავლა. მან გაამდიდრა ჩვენი ცხოვრება და მანვე მოგვცა ბევრი მაგალითი თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, რომ გავიმარჯვოთ. ჩვენ ვიმყოფებით კრიტიკულ მიჯნაზე. ან უნდა დავიღუპოთ, ან უნდა გამოვიდეთ ქარტეხილიდან, რომელშიც ახლა ვართ, ეროვნული ამღლილობის ჟამს. გამოსავალი კი ისევ ჰუმანიზმია, მოყვასის სიყვარულია, ერის შეკავშირებაა, მოწოდებაა მომავლისა, მაღალი იდეალებისათვის (ხმები – რეგლამენტი!–

თავმჯდომარე – შეწყვიტეთ!

ჰ.ამირეჯიბმა წაიკითხა ბევრი რამ საგულისხმო. რამდენიმე კაცმა მოაწერა ხელი. კიდევ განვაგრძოთ სიტყვებში გამოსვლა?

(ხმები – შეწყდეს!–) როგორც თქვენ გინდათ.

თავმჯდომარე – სიტყვა ეძლევა ჯანსულ ჩარკვიანს

გაგრძელება იქნება

# „ქართველი კაცი გაიხდის პერანგს, ოღონდ კი სტუმარს კარგად დაუხვდეს". მაგრამ სტუმარი?..

## სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

სახელმწიფოებრივი ფუძეების გარეშე დარჩენილმა სომეხმა ხალხმა შეინარჩუნა ეროვნული სიწმინდე და არ დაუშვა უცხო ეროვნების ხალხი თავიანთ ქვეყანაში. მაშინ როდესაც ჩვენ, ქართველებმა, გამოვიჩინეთ ლმობიერება და შევიხიზნეთ უცხოტომელები ჩვენს ტერიტორიაზე და ყოველმხრივ ვეხმარებოდით მათ. ვიჩენდით სტუმართმოყვარეობას ამჟამადაც ამ პოლიტიკით ვმართავთ სახელმწიფოს. უცხო ტომთა ნაწილი თვითნებურად და ძალმომრეობით, ნაწილი კი ჩვენივე ხელშეწყობით დავასახლეთ ქართულ მიწაზე. საქართველოში ჯერ ცარიზმის, ხოლო შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დროს მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობდა არაქართველი მოსახლეობა: სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, რუსები და სხვა ასე, მაგალითად, თუ ქართველი მოსახლე იბეგრებოდა ხუთი მანეთის ოდენობით, სომხები ოთხ მანეთად, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მოსახლეობა კი სამ მანეთად. სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ყოველმხრივ იცავდა მათ ეროვნულ სარწმუნოებრივ თანასწორობას, ყოველივე ამან წააქეზა უცხო-ტომელთა ერთი ნაწილი. ქართველთა სტუმართმოყვარეობას მათ უპასუხეს თავხედური გამოხტომებით, ძალმომრეობით და უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიებით.

ორმოცდაათიან წლებში სომეხთა სამშობლოში დაბრუნების ინიციატორებმა: მიქოიანმა, მწერალმა შაგინიანმა, მარშალ ბაგრამიანმა უცხოეთიდან რეპატრირებული სომხებით დატვირთული გემი ბათუმში მიიღეს, რათა ის ხალხი სასომხეთში დაესახლებიათ, მაგრამ მაშინდელი საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობამ ამ კონტინგენტიდან მხოლოდ მცირედი ნაწილი შეარჩია, ხოლო დიდი ნაწილი, ხრუშჩოვის მფარველობით და ვაზგენ I-ის ლოცვა-კურთხევით აფხაზეთში აღმოჩნდნენ, რაც საქართველოს მაშინდელი საბჭოთა მთავრობის სრულ უსუსურობას უნდა მივაწეროთ სწორედ ამ სომხებმა სხვა ადრე ჩამოსახლებულ სომხებთან ერთად აფხაზეთის ომის დროს სასტიკი ცინიზმი გამოიჩინეს მშვიდობიანი ქართველების მიმართ. მინდა მივმართო და შევახსენო ჩემს ნაცნობებს, თანამოსაქმე კოლეგებს და მეგობრებს – ნინოწმინდელ სომხებს, ავაკიანებს, არზუმანიანებს, ბროიანებს, გრიგორიანებს, გორთიანებს, დურგამიანებს, ზლოიანებს, ეგოიანებს, იგიტიანებს, კარსლიანებს, გარსლიანებს, მოსოიანებს, ოვანესიანებს, ხაჩატურიანებს, ცარუკიანებს, ჩობანიანებს და სხვა, რომლებთანაც მაკავშირებდა საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ორი ათეული წლის, განსაკუთრებით კი ბოლო ათი წლის განმავლობაში თქვენთან ერთად ბევრი რამ გაკეთდა რაიონის მოსახლეობის საკეთილდღეოდ და არა მგონია თქვენ არ გაწუხებდეთ თანამედროვე შახატუნიანების, ტერაბრამიანების, ხაჩაპეტიანების, ეზოვეების, ერცოების, არწრუნების, ვერმიშევების, ბაბახანიანების და სხვათა სომხური, ანტიქართული, აგრესიული შოვინიზმი, მათი გამოხტომები და სიყალბე, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება სომეხი და ქართველი ხალხის ძირძველ კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ჩვენ ძმობას და მეგობრობას. სომხეთის პრეზიდენტმა ბატონმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს თბილისის სომხურ დიასპორასთან შეხვედრისას სამართლიანად მიუთითა, რომ საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ უპასუხისმგებლო ადამიანებს, რადგან ნებისმიერი სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგია, უწინარეს ყოვლისა, არის არა ქართველთა, არამედ სომეხთა მტერი და პირიქით ახალქალაქის ზოგიერთი სომხური ულტრაშოვინისტური ორგანიზაცია, ვფიქრობ, ვერ მოახდენს ზეგავლენას იმ ნინოწმინდელ სომხებზე, რომლებისაგან მე თვითონ მომისმენია, გამიგია, თუ რა და როგორ პირობებში მოხდა ყარსიდან მათი წინაპრების გადმოსახლება თბილისის გუბერნიის სამცხე-ჯავახეთში 1829-1830 წლებში ცოტა მოგვიანებით კი 1840-1845 წლებში რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გადმოსახლებული იქნა დუხობორები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი წარსული, სად, ვის ტერიტორიაზე ჩასახლდნენ ისინი და ვისი მეშვეობით მოხვდნენ საქართველოში. მართალია, მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება გადმოსახლებულებს, როგორც სომხებს, ისე დუხობორებსაც საქართველოში. მაგრამ სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობა და მთლიანად საქართველო ყოველმხრივ ეხმარებოდა მათ, ხელს უწყობდა მათ დამკვიდრებას ძირძველ ქართულ მიწაზე. სომხებსა და ქართველებს შორის კიდევ უფრო განმტკიცდა ძმობა და მეგობრობა. არ არსებობდა არავითარი გაუგებრობა, ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთი შოვინისტი სომხები გააქტიურდნენ იმის იმედით, რომ საქართველო დაუძლურდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიით მე ნახევარ საუკუნეზე მეტია ვიცნობ ამ მხარეს და მსიამოვნებს, როდესაც მაგონდება, როგორ სასიკეთოდ შეიცვალა სამცხე-ჯავახეთი. მართალია, ამ უკანასკნელ წლებში საქართველოსთვის მძიმე პირობების გამო უდაოდ შეფერხდა ამ რეგიონისათვის ყურადღება, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა მოკლე ხანში გამოსწორდება.

საქართველოში დაბადებულმა და გაზრდილმა ბევრმა სომეხმა გულწრფელად შეიყვარა საქართველო, გაიზიარა მისი ტკივილი და სიყვარული, ზნე-ჩვეულებები ყოველივე ამით სომხების უმრავლესობა ამაყობს, მტკიცედ სჯერათ, რომ ქართველ და სომეხთა მეგობრობაზეა დამოკიდებული ეროვნული სახელმწიფოების შექმნა და გამტკიცება.

საქართველო და ქართველი ხალხი ყოველთვის დიდ გულისხმიერებას იჩენდა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. საკმარისია დავასახელოთ თბილისი – ვალე და კაზრეთ – ნინოწმინდა – ახალქალაქის რკინიგზების მშენებლობა, ჩითახევჰესი და ხრამჰესი, საცხოვრებელი ბინების, კინოთეატრების, სკოლების, კლუბების, ბაგა-ბაღების და სხვა სახოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობა

ბოგდანოვკას დამსახურებულად დაერქვა ნინოწმინდა, რამეთუ საუკუნეა არ მოიშალა წმინდა ნინოს ნაკვალევი, ვითარცა რელიქვია მივიღეთ მის მიერ მორთმეული სიმბოლური ვაზის ჯვარი. ეს ადგილები იმითაც არის ჩვენთვის სამაყო, რომ ამ გზით თამარ მეფეს ულია და ღამე ტბის პირას გაუთენებია. მას აქეთ ტბას სალამოს ტბა ეწოდა.

ეს მშვენიერი მთიანი პლატო, დღეს სინოწმინდად წოდებული, რძისა და თაფლის სამყაროა. ამ ზეგანის წყალობითაა, რომ საქართველოში მომთაბარე მეცხოველეობა-მეცხვარეობას მიაღწევენ განსაკუთრებით განთქმულია მრავალფეროვანი ალპიური საძოვრებით სალამოსა და ქაჩალგორის მასივები გაზაფხულიდან შემოდგომამდე ცხვრითაა გადატვირთული. ქაჩალგორისა და გარელოვკის საზაფხულო საძოვრების გაწყლიანების პრობლემური საკითხის მოგვარებამ დიდად შეუწყო ხელი საძოვრების მაქსიმალურად გამოყენებას. ამასთან ერთად აღსანიშნავია 1966 წლიდან 1976 წლამდე ნინოწმინდის რაიონში მომხდარი სასიკეთო ძვრები: მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტმა აიშენა კაპიტალური ბინები, კეთილმოეწყო რაიონული ცენტრი, თითქმის ათ ჰექტარ ფართობზე გაშენდა ახალი მიკრორაიონი, საქართველოში პირველებმა მივიღეთ მაღალმთიანი რაიონებისათვის გათვალისწინებული ხელფასის კოეფიციენტი, ექსპლუატაციაში შევიდა სამედიცინო ცენტრი, ყველ-კარაქის ქარხნები, სკოლები, ბაგა-ბაღები, პიონერის სახლი, სავაჭრო ცენტრი, ფოსტა-ტელეგრაფი და სხვა ადმინისტრაციული შენობები, მოპირკეთდა გზები, აიგო ხიდები, რაიონული ცენტრი მომარაგდა სასმელი წყლით, მოეწყო სანიტარული საზღვარი თურქეთთან საქართველოში პირველად ნინოწმინდის რაიონში დაინერგა პირუტყვის ინტენსიური კვება და ხბოების სიცივეში გამოზრდის მეთოდი, აშენდა სასუქი და სანაშენე მეცხოველეობის კომპლექსები, ჩამოყალიბდა მეცხოველეობის სავიშე ფერმები და სხვა. რაიონის მოსახლეობის მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ფაქტორმა განაპირობა კაპიტალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, ასევე გაიზარდა მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო და ფუფუნების საგნებზე. არ ყოფილა რაიონის არც ერთი პრობლემური საკითხი, რომელიც მთავრობის რეაგირების გარეშე დარჩენილიყოს, მთავარი იყო ადგილობრივი ხელმძღვანელობის საქმიანი დაინტერესება, მათ მიერ დაყენებული საკითხის სრულყოფილად გაანალიზება და შესრულებაზე სათანადო კონტროლის დაწესება. უკონტროლობის შედეგი იყო კაზრეთი-ბოგდანოვკა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის ტიკმატაუს უღელტეხილზე გაყვანა, მაშინ როდესაც მიზანშეწონილი იყო გვირაბის გაყვანა სოფ. ნარდევანიდან ტბა ფარავანის დონეზე. მართალია, ამ გვირაბის მოწყობა უფრო ძვირი დაჯდებოდა, მაგრამ რკინიგზა შეუფერხებლივ იმოქმედებდა წლის ყველა დროს. ასევე შესაძლებელი იქნებოდა გვირაბის მშენებლობისას გაგვეთვალისწინებინა მისი გამოყენება სხვა ტრანსპორტისათვისაც. ეს დიდად შეუწყობდა ხელს ამ რეგიონის ზამთრის პერიოდში თბილისთან მოკლე გზით დაკავშირებას. მაგრამ ახალი ადგილობრივი ხელმძღვანელობა ვერ გაერკვა რკინიგზის მშენებლობის პროექტში შეტანილ ცვლილებებში, რის შედეგადაც ვხედავთ, თუ როგორ გამოუყენებელი გახდა ეს ფრიად მნიშვნელოვანი ძვირადღირებული რკინიგზა. წალკა-ნინოწმინდის მონაკვეთზე რელიეფისა და კლიმატური პირობების გაუთვალისწინებლობის შედეგად პარალიზებულია რკინიგზა, მოშლილია ასფალტირებული საავტომობილო გზა თბილისსა და ნინოწმინდას შორის – 150 კმ მანძილის უმეტესი გზის ნაწილი დაუყოვნებლივ აღსადგენია – კაპიტალურ რემონტს ექვემდებარება, ბორჯომი-ახალციხის მონაკვეთი 300 კმ ართულებს ნორმალურ კავშირს ამ რეგიონთან, როგორც ნინოწმინდასთან, ასევე საზაფხულო საძოვრებთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნინოწმინდა არის უკიდურესად მაღალმთიანი რაიონი და ამდენად მკაცრი ზამთრის პირობებში ძალიან რთულდება სათბობით მომარაგების საკითხი გადასაწყვეტია აგრეთვე ფარავნისა და სალამოს ტბებზე ვიგაშენის ხელოვნურ ტყეში ტურისტული ბაზების მოწყობის პრობლემები.

დ.კაკულია

### გალის რაიონის ყველა მცხოვრები იძულებულია, საბაჟო კონტროლი გაიაროს

სააგენტოს კორესპონდენტს ზუგდიდის რაიონის გამგეობიდან აცნობეს, რომ მდ. ენგურზე, ზუგდიდიდან გალის რაიონში გადასასვლელ ყველა პუნქტთან ფუნქციონირებს აფხაზური საბაჟო. გალის რაიონის ყველა მცხოვრებმა, რომლებიც ტოვებენ ან ბრუნდებიან გალის რაიონში, უნდა გაიარონ საბაჟო კონტროლი და გადაიხადონ 30-დან 60 დოლარამდე თანხა.

იბერია

### თბილისში იმყოფება ნატოს სამხედრო კავშირის საკოორდინაციო საბჭოს დირექტორი, გენერალი გუნერ ლანგე

სააგენტოს „იბერიას" ცნობით, თბილისში იმყოფება ჩრდილოეთ ატლანტიკური სამხედრო კავშირის საკოორდინაციო საბჭოს დირექტორი გენერალი გუნერ ლანგე. დაგეგმილია შეხვედრები საქ. პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, თავდაცვის მინისტრთან ვარდიკო ნადიბაიძესთან.

მოლაპარაკებები შეეხება საქართველოსა და ნატოს შორის ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას პროგრამის – „თანამშრომლობა მშვიდობისათვის" ფარგლებში.

### ცხინვალის რეგიონიდან დევნილებმა წერილობით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს

ცხინვალის რეგიონიდან დევნილმა 200-მდე ლტოლვილმა წერილობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. წერილში გამოთქმულია მოთხოვნა, არ დაუშვან საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა.

როგორც ცნობილია, ლოთი ქობალიას, ჯამბულ ბოკუჩავას და ზვიად ძიძიგურის სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა წერეთელმა ბრალდებულთათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მოითხოვა.

იბერია

### «დაზეთილი ენერგობლოკი სრულ მზადყოფნაშია»

როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დ.ზუბიტაშვილმა განაცხადა, მესამე ენერგობლოკი სრულ მზადყოფნაშია. ჩატარდა აღნიშნული ენერგობლოკის 100 მეგავატიანი სიმძლავრის საკონტროლო გაშვება. მინისტრის თქმით, ენერგობლოკი 120 მეგავატს გაუძლებს. რაც შეეხება მეცხრე ბლოკს, მას დაპირებისამებრ, 25 ოქტომბრისათვის გაუშვებენ.

იფრინდა

# ერთი „ფხიანი", განაწყენებული ბიზნესმენის ოინები

## გაზეთ „საქართველოს" ა.წ. 23-26 სექტემბრის ნომერში პრეზიდენტისადმი ავთანდილ შანიძის ღია წერილის გამოქვეყნების გამო

**პატივცემულო რედაქციავ,** არცთუ შემთხვევით არ უწოდებენ მეოთხე ხელისუფლებას. მისასალმებელია, რომ იყენებთ ამ შესაძლებლობას და შეეცადეთ ოპერატიულად ამოსდგომოდით მხარში, ერთი შეხედვით, თითქოს „შევიწროებულ", „დაჩაგრულ" მეწარმეს. თუ რა „შევიწროებული" და „დაჩაგრულია" ბატონი ავთანდილი, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ნება გვიბოძეთ, მცირეოდენი განმარტება გავაკეთოთ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის იმ სატიტულო ბლანკების გამო, რამაც თქვენ აგრერიგად აგაღელვათ და პრეზიდენტისადმი მისი ღია წერილის გამოქვეყნება გადააწყვეტინათ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა არაერთხელ განიცადეს სტრუქტურული რეორგანიზაცია, შეიცვალა დაქვემდებარება, სახელწოდებები და ა.შ. ამის გამო ბევრი ორგანიზაცია და მათ შორის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრიც ვერ ასცდა იმ ცვლილებათა სპექტრს, რასაც ზოგიერთი ე.წ. „ბიზნესმენი" დემაგოგიური მიზნებისათვის იყენებს. ცდილობს ბუზი სპილოდ წარმოაჩინოს, მაგრამ, როგორც იტყვიან, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

არსებობს როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ საყოველთაოდ მიღებული და გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც სატიტულო ბლანკზე საკუთარი და ზემდგომი ორგანოს სახელწოდებათა მითითება სავალდებულოა.

ამ წესის მიხედვით სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი თავის საქმიანობაში მართლაც იყენებდა რამდენიმე სახის სატიტულო ბლანკს.

პირველად სატიტულო ბლანკის წარწერა იკითხებოდა შემდეგნაირად: ზემო სივრცეზე ზემდგომი ორგანიზაციის სახელწოდება, ანუ „სახელმწიფო კანცელარია", ხოლო ქვემო სტრიქონზე ცენტრის დასახელება: „სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი". მაგრამ ამ ფორმას ახლდა გარკვეული ხარვეზი, კერძოდ, არ ჩანდა ცენტრის სრული სახელწოდება, სრული დაქვემდებარების მომენტი. თუ ჩვენ „სახელმწიფო კანცელარიას" მოვიხსენიებდით, როგორც ზემდგომს, ხოლო შემდგომ ამავე დასახელებას გავიმეორებდით ცენტრის სრულ სახელწოდებაში: „სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი", მაშინ „სახელმწიფო კანცელარია" გამეორდებოდა, რაც ტავტოლოგიაა და ამდენად მიუღებელიც. ამიტომ ერთ ხანს მართლაც ვიყენებდით სატიტულო ბლანკს, რომელსაც ჰქონდა წარწერა „საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი". მსგავს გარემოებათა გამო თვით სახელმწიფო კანცელარიამაც შეცვალა ბლანკი, სადაც თავდაპირველ წარწერას „სახელმწიფო კანცელარია" დაემატა „საქართველოს პრეზიდენტი". რამაც თავისებური გავლენა მოახდინა ცენტრის სატიტულო ბლანკის წარწერაზეც.

სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელობამ სახელმწიფო კანცელარიის შესაბამის სამსახურებთან ერთად იმსჯელა ამ საკითხზე და შეიმუშავა ცენტრის სატიტულო ბლანკის საბოლოო ნიმუში: (სატიტულო ბლანკის ილუსტრაცია იხ. ქვემოთ).

ღია წერილის ავტორი, ალბათ, ვერ გრძნობს, თუ როგორ შორს შეტოპა ბლანკებთან დაკავშირებით...

პირველი: საგაზეთო პუბლიკაციაში ბატონი ავთანდილი ვერ ასახელებს ერთ ფაქტსაც, ცენტრის ხელმძღვანელს სატიტულო ბლანკი რაიმე ანგარების მიზნით რომ გამოეყენებინოს, ვერც დაასახელებს, ვინაიდან ასეთი ფაქტები არ არსებობს. ამიტომ მთელი მისი მონოლოგი სატიტულო ბლანკების წაღმა-უკუღმა ტრიალზე, ყავლგასული ბეჭედის დასმა-გამოყენებაზე, სხვა არაფერია, თუ არა უტიფარი ცილისწამება ცენტრის ხელმძღვანელის მიმართ.

მეორე: აუცილებლად გასარკვევია, როგორ გაჩნდა ბატონი ავთანდილის ხელში ცენტრის სატიტულო ბლანკები, რომელთა შემოღების შემდეგ მასთან რაიმე მიმოწერა აღარ ყოფილა.

არ გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ ერთადერთი გზა, საიდანაც ა.შანიძესთან შეიძლებოდა ეს ბლანკები მოხვედრილიყო, არის სახელმწიფო კანცელარიის შენობიდან მათი გატაცება ან მოპარვა.

ა. შანიძე თავის ღია წერილში ამბობს: „მე არ ვიცი, რას მატებს პრეზიდენტის სახელს, ან თუ სჭირდება მსოფლიო მასშტაბების მქონე პოლიტიკოსს ისეთი დაბალფასიანი რეკლამა, როგორც არის პრეზიდენტის აქტების კრებული"... თანამედროვე ბიზნესმენს კი უნდა შეეძლოს რეკლამისა და ყველასათვის ჰაერივით საჭირო დოკუმენტების კრებულის გამოცემის აუცილებლობის ერთმანეთისაგან განსხვავება.

დღევანდელ პირობებში, როცა რადიო და ტელევიზია ნახევარ საქართველოსაც ვერ მოიცავს, ჟურნალ-გაზეთები მცირე ტირაჟით გამოდის და ხშირად პრეზიდენტის ბრძანებულებები დედაქალაქსა და მის გარეუბნებს ვერ სცილდება, შეიძლება „პრეზიდენტის აქტების კრებული", რომლის გამოცემას ცენტრი მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 7 დეკემბრის №870 გადაწყვეტილებით ახორციელებს, იაფფასიან „რეკლამად" ან „ბიზნესად" მივიჩნიოთ, ალბათ?

გვინდა ფართო საზოგადოებრიობას ვაცნობოთ, რომ „პრეზიდენტის აქტების კრებულის" გამოცემა იქცა საკანონმდებლო, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის საინფორმაციო ვაკუუმის დაძლევის ქვაკუთხედად. ამაზე მეტყველებს ცენტრის სახელზე მიღებული უამრავი მადლობის წერილი რესპუბლიკური თუ ადგილობრივი მმართველი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან, სპეციალისტებისაგან, რიგითი ადამიანებისაგან, რომელთა მოთხოვნილებას ამ კრებულზე ხშირად ვერც ვაკმაყოფილებთ. რაც შეეხება კრებულის რეალიზაციის საკითხებს, იგი იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში. ცნობისათვის: „პრეზიდენტის აქტების კრებული" არ ალემატება საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცემული ანალოგიური გამოცემის ღირებულებას. ცენტრმა ამავე დროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობით მიმართა, რომ მზად არის უფასოდ გაუგზავნოს კრებული საზღვარგარეთ მცხოვრებ ხელმოკლე ქართველებს.

და არა მარტო კრებულის გამოცემა: ცენტრმა ამ ორიოდე წლის წინ დედაქალაქის საქმიანი წრეების, ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელების, მეცნიერების, ფართო საზოგადოებრიობისათვის მმართველობითი თუ დირექტიული ხასიათის ინფორმაციის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის პროსპექტის №24-ში შექმნა სპეციალიზებული ბიბლიოთეკა, სადაც დასახელებული ინფორმაცია ყველა მოქალაქეს უფასოდ ეძლევა. ეს ბიბლიოთეკა განსაკუთრებით იმათი შემწე და ერთგული დამხმარეა, ვისაც საკანონმდებლო აქტებზე ხელი არ მიუწვდება და დაუმსახურებელ გულგრილობას, უხეშობას ან უსამართლობას აწყდება ცალკეულ სახელმწიფო მოხელეთა მხრივ.

სხვათა შორის, ბატონ ავთანდილსაც რომ შეევლო ამ სპეციალიზებულ ბიბლიოთეკაში და რამდენიმე სახელმწიფო აქტი წაეკითხა მიწის იჯარისა და მისი ერთი ორგანიზაციიდან მეორის მფლობელობაში გადაცემის წესის შესახებ, მაშინ, ალბათ, ასეთ სავალალო მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდებოდა...

მკითხველისათვის, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გაიგოს, თუ ასე რამ გააბოროტა ავთანდილ შანიძე, ან რა ურთიერთობა ჰქონდა სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრთან, მის ხელმძღვანელთან ზურაბ ჯიბლაძესთან. ეს თუ არ ითქვა, თითქმის ყველაფერი გაუგებარი დარჩება. ეს ამბავი კი ასე დაიწყო:

1993 წლის 17 ნოემბერს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი აფუძნებს ახალ, იურიდიული პირის მქონე ქვეორგანიზაციას, საწარმოს, მარკეტინგის რესპუბლიკურ საინფორმაციო-სავაჭრო კომპლექსს, რომლის გენერალურ დირექტორად დაინიშნა ავთანდილ შანიძე.

კომპლექსის შექმნის მიზანი იყო: ხელი შეეწყო რესპუბლიკაში ეკონომიკის მართვის ორგანიზაციის სრულყოფისათვის, მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება შიდა და გარე ბაზრის ინფრასტრუქტურაში საწარმო-დაწესებულებათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ცენტრი და მისი ხელმძღვანელი ზ.ჯიბლაძე ყოველნაირად ეხმარებოდა ახლადშექმნილ კომპლექსს მუშაობაში, საპროექტო სამუშაოების დაფინანსებაში და ა.შ.

ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის შუამდგომლობითა და აქტიური დახმარებით დედაქალაქის მერიამ 1995 წლის 16 თებერვლის №030283 დადგენილებით საიჯარო წესით კომპლექსს გამოუყო 4 ჰექტარი მიწა დიდ დიღომში. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ერთი შეხედვით კოლეგიალურმა „მეწარმემ" თანდათანობით დაიწყო თავისი ზემდგომი ორგანოს - ცენტრის მითითებათა უგულებელყოფა, თავი აარიდა ქალაქის მუნიციპალიტეტთან აუცილებელი ხელშეკრულების გაფორმებას, ბიუჯეტში სავალდებულო გადასახადის შეტანას. მისი თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ გამოყოფილ ტერიტორიაზე დაუკითხავად გააჩეხინა მარადმწვანე ნარგავები და შეუდგა საზოგადოებრივი ბლოკის ე.წ. „ფაცხის" უკანონო, პროექტის გარეშე მშენებლობას. მისი შორსმიმავალი ჩანაფიქრი გვიან გამომჟღავნდა:

1995 წელს ა.შანიძე თავის უშუალო ხელმძღვანელის ზ.ჯიბლაძისაგან ფარულად საიჯარო ხელშეკრულებას სდებს ფირმა „მოურავთან", რომლის ბატონ-პატრონადაც იგი წლების მანძილზე ითვლებოდა. ესეც არ იკმარა. 1996 წელს ასევე ცენტრის ხელმძღვანელობისაგან ფარულად ფირმა „მოურავისა" და თურქულ ფირმა „ჯორჯიას" გაერთიანების საფუძველზე შექმნა შ.პ.საზოგადოება „შანი". ამავე 1996 წლის მაისში ა.შანიძემ, როგორც კომპლექსის დირექტორმა თხოვნით მიმართა ქალაქის მერიას, რათა კომპლექსის კუთვნილი 4 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადაემტკიცებინათ შ.პ.საზოგადოება „შანი"-სათვის, ე.ი. იმ საწარმოსათვის, რომლის კომერციული დირექტორი თვითონ გახდა.

ბატონმა ავთანდილმა მართლაც შეძლო ქალაქის მერიის შეცდომაში შეყვანა და აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკუთარი ფირმისათვის გადამტკიცება. ფხა და ნიჭიც ამას ჰქვია!

1996 წლის ივნისში ეს ახალი, მიწის განსახელმწიფოებრიობის „შანიძისეული" მეთოდი, სინამდვილეში ფარული პრივატიზაცია, როგორც არცთუ ხუმრობით ამბობენ „პრიხვატიზაცია", ცნობილი გახდა ცენტრის ხელმძღვანელობისათვის.

ცენტრი იძულებული შეიქნა 1996 წლის 2 ივლისს დაკავებული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა ა.შანიძე.

აი, აქედან დაიწყო, რაც დაიწყო. განაწყენებულმა ყოფილმა დირექტორმა უარი თქვა ახალი ხელმძღვანელისათვის კომპლექსის გადაბარებაზე, ხოლო ცენტრის მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული მარკეტინგის საინფორმაციო - სავაჭრო კომპლექსის 4 ჰექტარ მიწას და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს პირად საკუთრებად მიიჩნევს.

მას შემდეგ სამი თვე გავიდა. იმის გამო, რომ ამ დაძაბულ, გაურკვეველ სიტუაციას დასასრული არ უჩანდა, ცენტრის ხელმძღვანელობამ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. როგორც პუბლიკაციიდან ჩანს, ა.შანიძეს ჭკუაში არ უჯდება ამ ორგანოებთან ურთიერთობა და მოპირდაპირე მხარესთან ბრძოლის არასაკადრისი, ცილისწამების, შანტაჟის გზა აირჩია. სხვა რა შეიძლება უწოდო ადამიანის მოქმედებებს; რომელიც თავს ნებას აძლევს ასეთი რამ შავით თეთრზე დაწეროს:

„ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ თხოვნით, გამარკვიოთ რა დავაშავე, ან დაკანონდეს და ვიცოდეთ, რამდენს შეადგენს ის წილი, ის ხარკი, რომელიც ჩინოვნიკს უნდა ვუხადოთ".

გვერწმუნეთ, დემაგოგია, ალბათ, ამაზე შორს ვერ წავა! გასარკვევი კი უნდა გავარკვიოთ. სამი წელიწადი გავიდა, რაც კომპლექსი შეიქმნა და მიწა გამოეყო მას. დაგვისახელოს ა.შანიძემ თუნდაც ერთი თეთრი, რაც მან სახელმწიფო გადასახადის სახით ბიუჯეტში შეიტანა. ვის ეკუთვნის, თუ არა ა.შანიძეს, საბურთალოს რაიონის გამგეობის 1996 წლის 22 მარტის №1116 42 წერილში მოცემული კატეგორიული გაფრთხილება: „გევალებათ შეაჩეროთ ყოველგვარი სამუშაოები და მ/წლის 1 აპრილამდე გააფორმოთ ხელშეკრულება და გადაიხადოთ მიწის ნაკვეთის საიჯარო გადასახადი. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ქმედება ჩაითვლება კანონსაწინააღმდეგო, როგორც ბიუჯეტში გადასახადების დამალვა და ეკონომიკური საბოტაჟი". და იცით დღემდე რამდენი აქვს კომპლექსს სახელმწიფოსათვის გადასახდელი? რამდენი ათეული ათასი ლარი!

ბატონო ავთანდილ! ახლა ხომ მიხვდით, რამდენი უნდა გადაიხადოთ. ცენტრს, ბიუჯეტს რა „ხარკის" შეწერა მოუნდომებიათ თქვენთვის?

პრეზიდენტს თქვენ წერთ: „ჯიბლაძეებისთანა ჩინოვნიკები უშლიან ხელს ხალხს, რომლებიც რეალური საქმის მკეთებლები არიან და რომელთა ხარჯზეც უნდა ხდებოდეს ბიუჯეტის შევსება". (ხაზგასმა ჩვენია პ.ს.).

შეიძლება სახელმწიფო ბიუჯეტის რამდენიმე ათეული ათასი ლარი გემართოს, ჯიუტად არ იხდიდე მას და საკუთარ თავს თვლიდე იმ მეწარმეებს შორის, „რომელთა ხარჯზეც უნდა ხდებოდეს ბიუჯეტის შევსება". ასეთ დროს ამბობენ: „სად არს სირცხვილო, სიწითლე შენი"...

ეს სიტყვები აშკარა ცინიზმია. თუმცა რა, თქვენ თქვენი „მოღვაწეობის" პერიოდში შეცდომაში შეიყვანეთ ცენტრი, თქვენ შეცდომაში შეიყვანეთ მერია, საბურთალოს რაიონის გამგეობა, რამდენიმე გაზეთის რედაქცია. ასევე გსურთ თვალი აუხვიოთ მთელ საზოგადოებას... მაგრამ ეს არც ისე იოლია, პირდაპირ გეტყვით: შეუძლებელია!

ზუსტად აქ გვახსენდება ერთი კლასიკოსის შეგონება: „ადამიანმა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ერთი პიროვნება და ასე მოტყუებული ჰყავდეს მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. ადამიანს შეუძლია მცირე ხნით შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოებრიობაც. მაგრამ დიდი ხნით საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანა არავის არ შეუძლია", თუნდაც ის ავთანდილ შანიძე იყოს.

ა.შანიძის იმედი, ცდა-შანტაჟით, დემაგოგიური ოინებით, სამხედრო გზის გადაკეტვით, მთავრობის სახლთან აქციის მოწყობით და სხვა ქმედებებით შეაშინოს ყველა, მიწაც დაისაკუთროს და მასზე მშენებარე ობიექტებიც, მხოლოდ ვარდისფერი ილუზიებია...

ვფიქრობთ, ამ ფაქტების, სიტუაციების გაცნობის შემდეგ გაზეთ „საქართველოს" რედაქცია დაგვეთანხმება, რომ პრეზიდენტისადმი ბატონი ავთანდილის ღია წერილის გამოქვეყნება, ცოტა არ იყოს, ცალმხრივი და ნაჩქარევი გამოვიდა.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის პრესსამსახური.
3.X.1996



საქართველოს პრეზიდენტი
სახელმწიფო კანცელარიასთან
არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი

N ____ „ " ________ 1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერლებო: სწორდი, სმენა, გადა-ა-ა-ადექ!

გასულმა კვირამ რუსი გენერლების ცხოვრებაში დიდი კატაკლიზმებით აღინიშნა. მათგან ერთი ქვევით წავიდა, მეორე ზევით, მესამე კი, თუმცა თანამდებობიდან მოიხსნა, ხუთი წლის შემდეგ დაგეგმილი გადამწყვეტი აღმასვლისათვის მოემზადა.

## ყირაოდ ქცეული ირაო

ვინ იფიქრებდა, რომ გენერალ ლებედის თავისუფალი და მაღალი ფრენა ასე უცბად შეწყდებოდა!

რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტაბილურობა მისთვის უცხო ხილია. ძნელია გაიხსენო ფაქტი მსოფლიოში მეტ-ნაკლებად გავლენიანი რომელიმე ქვეყნის უახლოესი ისტორიიდან, როდესაც უშიშროების საბჭოს მდივანს, ან მისი უფლებამოსილების მქონე მეორე-მესამე კაცს სახელმწიფო აპარატში, სახელმწიფო გადატრიალების საბაბით ხსნიდნენ. ლებედმა თანამდებობაზე მხოლოდ ოთხი თვე იმუშავა.

ამ მოკლე დროში მან მოასწრო: უამრავი წამყვანი პოლიტიკური დაჯგუფების, პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის, შინაგან საქმეთა მინისტრის, თავისივე დანიშნული თავდაცვის მინისტრის, პრემიერ-მინისტრისა და, საბოლოოდ, პრეზიდენტის გადაკიდებაც კი.

ესოდენ მოკლე დროში ესოდენ გავლენიანი მოწინააღმდეგეების გაჩენას თავისებური ნიჭი და მოხერხება უნდა. სხვათა მიერ თითქმის ორი წლის განმავლობაში წარმოებული ომის შეჩერებასაც, რომელსაც 80000 ადამიანი შეეწირა, ასევე სჭირდება ნიჭი და გამბედაობა. ლებედს ერთიც აღმოაჩნდა და მეორეც.

ოფიციალური ვერსიით, მას არ აპატიეს მაკომპრომეტირებელი პოლიტიკური კავშირი ელცინის დაცვის ყოფილ უფროს კორჟაკოვთან, რომელსაც „კრემლის საშუალო დონის ინტრიგანსაც" უწოდებენ და 50000-იანი



„სოხუმის შტურმის უხილავი გმირი" – კოლესნიკოვი

საგანგებო ლეგიონის შექმნის იდეა, რომელსაც შინაგანი კონფლიქტების აღკვეთა დაევალებოდა.

მაგრამ ნამდვილი მიზეზი მის სამშვიდობო მოღვაწეობაშია, კერძოდ, დაბა ხასავიურტში მასხადოვთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ხელმოწერაში, რომლის შედეგადაც ჩეჩნეთიდან რუსის ჯარის გამოსვლა დაიწყო. პარალელურად ლებედმა ბრალი დასდო შს მინისტრ კულიკოვსა და რამოდენიმე სხვა გენერალს იმაში, რომ მათ მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში ათასობით ჩეჩენი დაიღუპა, აგრეთვე იმაში, რომ მათ დაუშვეს აგვისტოში გროზნოს სრული აღება „ბოევიკების" მიერ, რის გამოც ისინი მოღალატეებად მონათლა.

ძნელია ამტკიცო, რომ ელცინი, რომელსაც ცალი ფეხი საოპერაციო მაგიდაზე აქვს და დღეში 2–3 საათზე მეტს არ მუშაობს, ადექვატურად აღიქვამს ყველა მიმდინარე მოვლენას, მაგრამ ფაქტი ფაქტია – ლებედის დამოუკიდებელმა მოქმედებებმა სნეული პრეზიდენტის რისხვაც გამოიწვიეს. მან პირდაპირ ეთერში (ჩანს, მეტი დამაჯერებლობისთვის) მოაწერა ხელი ბრძანებულებას თავნება გენერლის განთავისუფლების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალაუფლების გამოცდა ჩინოვნიკურ თამაშებში ნაკლებად-გარკვეული გენერალ-ლეიტენანტის ხელიდან ეტაპობრივად ხდებოდა. ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში იგი ჩამოაშორეს უმაღლესი სამხედრო და დიპლომატიური წოდებების მინიჭების კომისიის თავმჯდომარეობას. შეურაცხყოფილმა ლებედმა ელცინს გადადგომის პატაკი დაუწერა, მაგრამ უარი მიიღო. აშკარა გახდა, რომ რუსეთის უმაღლეს ეშელონებში ყველაფერი რიგზე არ იყო.

უმაღლესი წოდებების კომისიამ ახალი თავმჯდომარით პირველი ის გააკეთა, რომ ლებედის ყოფილ პროტეჟე როდიონოვს არმიის გენერლის წოდება მიანიჭა. უშიშროების საბჭოს მდივანმა იგრძნო, რომ თავდაცვის მინისტრი ახლა სხვა ხალხს უკავშირდებოდა და სახალხოდ უწოდა მას „მოღალატე და უპრინციპო კაცი".

იმავე დღეებში კომუნისტებმა ლებედს ხასავიურტის შეთანხმებების გამო საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლეს, მაგრამ ელცინმა ყველაფერს წერტილი დაუსვა: „იგი ჩემი დავალებით მოქმედებდა და მითითებებისგან ნაბიჯითაც არ გადაუხვევია", – განაცხადა პრეზიდენტმა.

ამ განცხადებაში იყო არა იმდენად ამბიციური გენერლის მხარდაჭერის სურვილი, რამდენადაც დაფნის გვირგვინის ტარებაში შეცილებისა. მართლაც, ჩეჩნეთის კამპანია რუსეთის მოსახლეობის უფართოეს ფენებში, განსაკუთრებით კი პრესაში, ძლიერ უარყოფით ემოციებს იწვევდა და ლებედს მისი შეჩერების გამო რეიტინგი შეუდარებლად აეწია.

ეს ყველაფერი ლებედმა, რა თქმა უნდა, დაინახა და საფრთხე იგრძნო.

ჩარხი უკუღმა დატრიალდა. სწორედ ამ მომენტში გამოვიდა შს მინისტრი კულიკოვი და ააფრიალა დოკუმენტი – განსაკუთრებული ლეგიონის შექმნის ლებედისეული პროექტი, რომელიც ძალიან უნდა გინდოდეს საკუთარი თავის მოტყუება, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასო.

აწყობილმა და ერთგვარად კორუფციაში გასვრილმა ბიუროკრატიულმა მანქანამ ვერ აიტანა ახლადგაპოლიტიკოსებული გენერალი, რომელსაც მექრთამეებზე ალერგია აქვს და ყველაფერში ცხვირს ჰყოფს – თავდაცვაში, უშიშროებაში, მილიციაში, ჩეჩნეთის პრობლემაში, ჩრდილო რაიონების მომარაგებაში, ელცინის თანაშემწეთა დანიშვნა – განთავისუფლებაში, ნატოს გაფართოებაში და ა.შ. სწორედ ნატოს რუსეთის საზღვრებთან „მოჩოჩების" პრობლემა გახდა ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც სასწორი ლებედის მოწინააღმდეგეთა მხარეს გადასწონა. ოქტომბრის დასაწყისში დასავლეთში პირველი გასვლისას უშიშროების საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ ნატოს გაფართოებას რუსეთი წინ ვერ აღუდგება და უნდა შეეგუოს. თავის დროზე იგივე პრობლემაზე მსგავსი აზრის ქონამ გადაიყოლა საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი. ახლაც ლებედს, რომლის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ წიგნს "За Державу обидно" ჰქვია, "დერჟავნიკობის" იდეალთა ღალატი დასწამეს.



კიდევ როდის მიიღებს ლებედი პატაკს კრემლის წინ?

გენერალი გადააყენეს. ხელისუფლებას ჩამოშორდა კაცი, რომელმაც ოთხი თვის წინ საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმათა 15% მოაგროვა და რომელსაც ხუთი წლის შემდეგ გამარჯვების ყველა შანსი აქვს. მისი წასვლით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რუსეთში გაიმარჯვეს მლიქვნელებმა და მედროვეებმა. ასევე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ხელისუფლებაში დარჩენილი ძალები გააგრძელებენ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის" გარშემო ადრე დაწყებულ ბინძურ თამაშებს და ყველანაირად ეცდებიან, შეინარჩუნონ დღეს არსებული სტატუს-ქვო, რომელიც საქართველოს საერთოდ არ აწყობს, აფსუა სეპარატისტებს აწყობთ მხოლოდ ნაწილობრივ, მთლიანად კი მხოლოდ რუსეთის იმპერიის ინტერესებს ემთხვევა. ძნელი სათქმელია, რა მოელოდა ამ პრობლემებს ლებედის აქტიური მოღვაწეობისას, ყოველ შემთხვევაში, ერთის მტკიცება დანამდვილებით შეიძლება – რუსეთის პოლიტიკა ნებისმიერ საკითხში უფრო პირდაპირი და პატიოსანი გახდებოდა, რაც ასევე დიდი პროგრესია ამ ქვეყნისათვის.

## უკანასკნელი როქი აფხაზურ თამაშში

ლებედის განთავისუფლების მეორე დღესვე ცვლილებები რუსეთის უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაშიც განხორციელდა. როდიონოვმა საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად მინისტრის მარჯვენა ხელი – გენერალური შტაბის უფროსი შეცვალა – ამ თანამდებობაზე დაინიშნა მისი ძველი მეგობარი და ქვეშევრდომი არმიის გენერალი სამსონოვი, რომელიც თავის დროზე ზაკვოს შტაბის უფროსიც იყო და საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში ოთხი თვის განმავლობაში უკვე მეთაურობდა გენშტაბს.

მან ამჟამად თანამდებობაზე შეცვალა არმიის გენერალი კოლესნიკოვი, რომელიც, ჩეჩნეთს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს წინაშეც დიდი „დამსახურებებით" გამოირჩევა. ეს სწორედ ის კოლესნიკოვია, 1993 წლის სექტემბერში ერთი თვის შემდგომ ტანკებით გარეკილ რუსეთის პარლამენტს რომ აბარებდა პატაკს: „Сухуми через два дня падет!" სოხუმმა ორი კვირა გაძლო და მაინც დაეცა, აფსუათა გამარჯვების მთავარმა ორგანიზატორმა კი პოსტზე კიდევ სამი წელი გაატარა. ამიერიდან იგი სათავეში ჩაუდგება დსთ-ს სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბს, რომელსაც აქამდე იგივე ვიქტორ სამსონოვი ხელმძღვანელობდა.

საქართველო შტაბის უფროსთა ამ როქით უფრო მოიგებს, ვიდრე წააგებს. უპირველესად იმიტომ, რომ სამსონოვს ხელი არა აქვს გასვრილი ბინძურ საქმეებში ჩვენს წინააღმდეგ, თანაც, იგორ როდიონოვთან ერთად, რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ამჟამინდელი თავდაცვის მინისტრის უშუალო უფროსი იყო. ერთი თვის წინ იგი, ჯერ კიდევ დსთ-ს სამხედრო თანამშრომლობის შტაბის უფროსის რანგში, საქართველოს ეწვია. უმაღლეს დონეზე შეხვედრები გამართა და ქართული სტუმართმოყვარეობით დიდად კმაყოფილიც წავიდა.

მაშინ ვიზიტის მთავარი მიზანი დიდად არ გახმაურებულა. სინამდვილეში კი სამსონოვი ამზადებდა ნიადაგს, რათა აფხაზეთში დსთ-ს ეგიდით განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ჯარები, რომლებიც ამისდა მიუხედავად რუსეთის გენშტაბს ემორჩილებიან, დსთ-ს საკოორდინაციო შტაბს დაქვემდებარებოდა, რაც მას საკონსულტაციო ორგანოდან რეალური ძალის მქონე ერთეულად აქცევდა.

ეს, თუმცა საბოლოოდ არ მოაგვარებდა აფხაზეთის პრობლემას, მაგრამ ერთი ნაბიჯით მაინც წინ წაგვწევდა. საქართველოს მხარე უფლება ექნებოდა, მოეთხოვა აფხაზეთში დსთ-ის სხვა ქვეყნების ასეულების ჩაყენება, რომლებიც რუსული ბატალიონებისაგან განსხვავებით მიუკერძოებლები იქნებოდნენ. თავის დროზე ასეთ მისიაზე თანხმობა განაცხადეს ცენტრალური აზიის ქვეყნებმა, უკრაინამ, მაგრამ მაშინ მათი ქვედანაყოფების გამოგზავნა არ მოხერხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინამ უკანასკნელ დროს გადახედა თავის პოზიციას და, თუმცა კვლავინდებურად მზადაა ჩაენაცვლოს რუსის ჯარს ენგურის გაღმა-გამოღმა, მაგრამ ახლა უკვე გაეროს მანდატს ითხოვს.

ასეა თუ ისე, სამსონოვისთვის მათი გადაცემის შემთხვევაში სამშვიდობო ჯარები გამოვიდოდნენ რუსეთის გენერალური შტაბის დაქვემდებარებიდან, რომელსაც საქართველოსთვის აქამდე კარგი არაფერი გაუკეთებია. მართალია, დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოშიც, და, შესაბამისად, სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბშიც, წამყვან როლს რუსეთი თამაშობს, მაგრამ მასში საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და მხარდაჭერის მოპოვების შეუდარებლად მეტი შესაძლებლობა გვაქვს. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მიდგომას გაიზიარებდნენ უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა და ყაზახეთი (სხვა ქვეყნების შესახებ რაიმეს მტკიცება შეუძლებელია). მათ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ აფხაზეთის მსგავსი ცხელი წერტილები ან აქვთ, ან მათი წარმოქმნის საშიშროების წინაშე დგანან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ყოფილ „უფროს ძმას" დაუმტკიცონ, რომ დღეს ყველანი თანასწორი პარტნიორები ვართ, აქამდეც არაერთხელ დაუჭერიათ მხარი საქართველოსთვის.

ეს ის პლუსებია, რომლებსაც მივიღებდით სამშვიდობო მისიის დსთ-ს შტაბისთვის გადაქვემდებარების შემთხვევაში. მაგრამ დღეს კვლავ დგება კითხვა – ღირს კი ამ აზრზე აქცენტირება, თუკი ამ ორგანოს ამიერიდან „სოხუმის შტურმის უჩინარი გმირი" კოლესნიკოვი უხელმძღვანელებს?



სამსონოვი თანამდებობაზე მეორედ მოსვლის შემდეგ

ვფიქრობთ, არა. ალბათ, ისევ ადრე გაკვალული გზით სიარული და როდიონოვ-სამსონოვთან ვნადიბაიძის პირადი კონტაქტების გამოყენება აჯობებს. ასე მიღწეული შედეგი იქნება მაქსიმუმი, რის გამორჩენასაც ჩვენ რუსეთიდან შევძლებთ თუ დღეს ან ხვალ აფხაზეთში რუსებისთვის პოლიციური მანდატის მინიჭებასა და ფსოუზე რეჟიმის გამკაცრებას მივაღწიეთ, ჩავთვალოთ, რომ რუსეთმა საკუთარ შესაძლებლობებსაც გადააჭარბა და უკვე კონფლიქტის რეალური მოგვარების გზები ვეძებოთ, ოღონდ ახლა სხვა მხარეს.

თენგიზ გოგოტიშვილი

# ექიმების წყალობით ინვალიდად დარჩენილი ბავშვი...



**სენაკის** ქუჩებში ხშირად შეხვდებით შავებით მოსილ ქალს, რომელსაც ინვალიდის სავარძლით პატარა ბიჭუნა დაჰყავს... ნაცნობებმაც და უცნობებმაც კარგად იციან ამ დედა-შვილის უბედურების შესახებ, მაგრამ შემწე არავინაა, ან ვინ დაეხმარება, როდესაც ხალხი თავადაა დასახმარებელი, ხოლო მათ, ვისაც ძალუძთ დაეხმარება, ერთი პატარა ბიჭის უბედურება „აქტუალურად" არ მიაჩნიათ მაშინაც კი, როდესაც თავად არიან დამნაშავენი...

განსაცდელი კი შვიდი წლის წინ ეწვია ქ-ნ დოდო მზარელუა-ფანჩულიძის ოჯახსა და მის ერთადერთ ვაჟს, პატარა ვლადიმერს (მაშინ იგი სამი წლის სალსალამათი ბავშვი იყო). მოხდა ისე, რომ უეცრად „რაღაც" დაემართა. სუნთქვა ეხუთება, თითქმის ვერ სუნთქავს... სასწრაფოდ ქუთაისის საავადმყოფოში გადაიყვანეს... „დატრიალდნენ ექიმები"... ბევრი „უტრიალეს" თუ ცოტა, ავადმყოფს ვერა გაუგეს რა. ვერსია კი უამრავი იყო, ზუსტი დიაგნოზის დასმა ვერავინ მოახერხა. ბავშვი კი კვდება... მშობლების (მაშინ ბიჭუნას მამა ცოცხალი იყო) თხოვნაზე, თბილისში გადაეყვანათ ავადმყოფი, მტკიცე, თავდაჯერებული პასუხი მიიღეს საავადმყოფოს მთავარი ექიმის თემურ ნადირაძისაგან: „მანამ არ წაიყვანთ, სანამ ყველაფერს არ გავაკეთებთო". მშობლებიც მიენდვნენ მის თავდაჯერებას. ისე შესანიშნავად „გააკეთეს ყველაფერი", რომ ბავშვი მოკვდა... სიკვდილი, საბედნიეროდ, კლინიკური იყო და ოცი წუთის შემდეგ სიცოცხლე დაბრუნდა, დაბრუნდა, მაგრამ ვაი ამ სიცოცხლეს – პატარა ინვალიდად იქცა. მერე კი დაეთანხმნენ თბილისში წაყვანაზე, მაგრამ უკვე გვიან იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ყველაფრის მიზეზი პატარა ძვალი იყო, რომელიც ბავშვს გადასცდენია და ამის დადგენა ვერანაირად ვერ მოახერხეს ქუთაისის საავადმყოფოში... და დაიწყო ოჯახის ტრაგედია. ვლადიმერის მამა დარდს გადაჰყვა, დედა დოდო ფანჩულიძე კარიდან კარზე, სამინისტროდან სამინისტროში დადიოდა განცხადებებითა და თხოვნით, რადგან მკურნალობა მხოლოდ საზღვარგარეთ იყო შესაძლებელი.

1991 წ. როგორც იქნა მოხერხდა ბავშვის გერმანიაში ჩაყვანა, იმ იმედით, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გადარიცხავდა სამკურნალოდ საჭირო თანხას (მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი მ.ძოძუაშვილი იძლეოდა ამის პირობას). გერმანიაში ჩასულებს თანხა არ გადაურიცხეს, გერმანელმა ექიმებმა ოცდახუთი დღის მანძილზე უფასოდ უმკურნალეს და შემდეგ კი დედა-შვილი იძულებულნი გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. მას მერე ხუთი წელი გავიდა და არავინაა მომკითხავი რა დაემართა პატარა ინვალიდ ბიჭუნას. არც ქუთაისის საავადმყოფოს მთავარი ექიმი დაუსჯია ვინმეს, არც ჯანდაცვის სამინისტრო დაინტერესებულა მათი შემდგომი ბედით. „თუ არავინ იქნა ჩემი მშველელი, მე თავად გამოვიტან სასტიკ განაჩენს" – გვითხრა საუბრისას იმედგადაწურულმა დედამ. პატარა, უძლური ბიჭუნა კი გულუბრყვილო თვალებით შემოგვცქეროდა, გულუბრყვილო, რადგან მას ჯერ კიდევ სჯერა, რომ ქვეყანა არ გადაგვარებულა, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, ვისაც მისი მომავალი ბედი შეაწუხებს. ნუ იქნებიან დაუნდობელნი ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები, თემურ ნადირაძის დანაშაულს კიდევ უფრო მეტ დანაშაულს, გულგრილობას ნუ დაუმატებენ. ნუ წარსტაცებენ პატარა ვლადიმერ ფანჩულიძეს იმედს, იმედს მომავლისას, რომ ისიც, როგორც მისი თანატოლები, ოდესღაც ითამაშებს ფეხბურთს!

ანა ჯულელი

## «ლიმონათის ქვეყანა» სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი

ერთი თვის შემდეგ გადაწყდება ჯაბა იოსელიანის ნაწარმოებისათვის „ლიმონათის ქვეყანა" სახელმწიფო პრემიის მინიჭების საკითხი. „ჩემთვის დგას ნაწარმოების ღირებულება და არა პოლიტიკური საკითხი. თუ ნაწარმოები იმსახურებს, მე მას ხმას მივცემ". – განაცხადა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გ.ფანჯიკიძემ, რომელშიც სპეციალური კომისიის წევრების შემდეგ, ნაწარმოების გასაცნობად თავის რიგს ელოდება.

იპრინდა

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფი საპროტესტო აქციის ჩატარებას აპირებს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჯგუფი აპირებს თბილისში საპროტესტო აქციის ჩატარებას, საქართველოში ე.წ. თურქული უნივერსიტეტის ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ. ისინი მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს აღნიშნული უნივერსიტეტის ფუნქციონირება დემირელის სახელობის კოლეჯში.

„შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი" დაარსდა საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების ედუარდ შევარდნაძისა და სულეიმან დემირელის შეთანხმების საფუძველზე. „იბერიას" კორესპონდენტს საქ. განათლების სამინისტროს მაღალი რანგის წარმომადგენელმა განუცხადა, რომ ჭორი იმის თაობაზე, თითქოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ისლამური ფუნდამენტალიზმის კერა გახდება საქართველოში, მტკნარი სისულელეა. მისივე თქმით, უნივერსიტეტი ფუნქციონირებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამების მიხედვით. რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთი ჯგუფის მიერ ატეხილ ისტერიკას, იგი პროვოცირებულია რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, რომელთაც სურთ შეაფერხონ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა თურქეთსა და საქართველოს შორის, – განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა.

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, სავიზიტო ბარათების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე).
გვაქვს ავტონომიური დენის წყარო.
მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ჩვენი ტელეფონია:
93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე, გარდა კვირისა.

ორშაბათს, 28 ოქტომბერს, 15 საათზე, სანდრო ეულის ქ. №1 გაიმართება საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის მმართველი საბჭოს სხდომა.

კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრესსამსახური.



**თარაზულად:** 5. ეკლესიის მსახური; 6. ბრალდებულის დამცველი; 7. მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის გეგმა; 8. ღვთის მოციქული – უსხეულო არსება; 10. ოპტიკური ხელსაწყო; 12. სინონიმი სიტყვებისა „სხვა", „სხვაგან" მოხეულ კილოზე; 14. ზოგადი სახელწოდება შხამსაწინააღმდეგო ნივთიერებისა, რომელიც შხამით მოწამვლისას გამოიყენება; 16. უნგრელი მწერალი; 17. ამერიკული სიგარეტი; 18. წლის ბოლო თვე ებრაელთა რელიგიური კალენდრით – დაახლოებით აგვისტო-სექტემბერი; 19. ჭურჭელი; 20. შტატი ამერიკაში; 22. თმის, ფრჩხილების შესაღები მოწითალო ყვითელი საღებავი; 23. პატარა ნივთი, რომელსაც ცრუმორწმუნეები გულზე იკიდებენ; 27. სახელისა და გვარის, სახელისა და მამის სახელის პირველი ასო; 28. ქართველი მარშალი; 29. გემის, თვითმფრინავის და მისთანების ტარების სპეციალისტი; 30. ქართული ხალხური ცეკვა.

**შვეულად:** 1. ელექტრომანქანის უძრავი ნაწილი; 2. ზოგი სპორტული გუნდის სახელწოდება; 3. ქალაქი ჩეჩნეთში; 4. ვინც ორნაქმარებ, უშვილო სადედინაცვლოს დაეძებდა (ქართული მოთხრობა); 7. სტუმრისათვის მირთმეული საჭმელ-სასმელი; 9. ნივთიერება, რომელიც არ ატარებს ელექტროენერგიას. 10. ცხენებშებმული უძირო ხაზინადარი; 11. მდინარე ჩინეთში; 12. წყალში უხსნადი ორგანული ნივთიერება; 13. ბერძნული ასო; 14. მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება (არსებობს მისი სახელობის ღვინოც); 15. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული; 21. ქართველი მოქანდაკე, ოქრომქანდაკებელი, ფერმწერი; 24. ციხესიმაგრე – არაგვის ერისთავთა რეზიდენცია; 25. სისხლის თეთრი ბურთულების წარმომშობი ორგანო; 26. თევზი – რეწვისა და სპორტული ჭერის ობიექტი.

გიორგი გასიტაშვილი

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. გაბელია; 8. რევანში; 9. კანო; 10. "მაზდა"; 12. ასადი; 14. სექცია; 16. პრიზმა; 17. ლარები; 18. ენცეფალიტი; 21. საპორო; 22. გლორია; 23. ორძელი; 26. ვილაც; 28. რისკი; 29. ტირე; 30. კლავიში; 31. ნოკაუტი;

**შვეულად:** 1. სამთავრო; 2. ფლორა; 3. საკაცე; 4. თრომბი; 5. ავარა; 6. მშვიდობა; 11. დეზდემონა; 13. სარკინოზი; 14. საუცხოო; 15. ალტინგი; 19. კანიბალი; 20. ნისკარტი; 24. რანტიე; 25. ლორენი; 27. ცაცია; 28. როჭკი.

## გახსენება

### გაიოზ ცხადიაშვილის ხსოვნას



ერთი წელი ხდება, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადიულ სასუფეველში გადახვედი.

ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები ყველას. ენატრები შენს საყვარელ ოჯახს, მთელ ნათესაობას, მეგობრებს.

გვიჭირს უშენოდ. შენ ხომ ყველასთვის იმედის მომცემი იყავი.

არასოდეს დაგვავიწყდები.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა.

გიზო, გია, გოჩა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444